გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 2005 წელი.
№261 (5294)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიცოცხლე, ცეცხლებით და ჭაობებით ბრძოლის გატანა ყველა ადამიანის პასუხისმგებლობაა.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. | ფასი 50 თეთრი.

## საპატიო სტუმრის ვიზიტი პარლამენტში

**ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი მეუღლესთან ერთად გუშინ საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია.**

ლიტვის პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია საქართველოს პარლამენტში გაიმართა, რის შემდეგაც საქართველოს და ლიტვის პრეზიდენტები პირისპირ შეხვდნენ. მოგვიანებით საზეიმოდ ხელი მოაწერეს ერთობლივ დოკუმენტს, გაიმართა ერთობლივი პრესკონფერენცია.

* * *

**ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი დარწმუნებულია, რომ საქართველო შეძლებს ნატოში და სხვა ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებას.**

როგორც საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ვალდას ადამკუსმა განაცხადა, ლიტვა ყველანაირად ეცდება და ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას, გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას და იქნება საქართველოს აქტიური ლობისტი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

— გვინდა, რომ საქართველო იყოს ჩვენთან ერთად როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიზნის განხორციელებას ჩვენი ხელშეწყობით და დახმარებით საქართველო აუცილებლად შეძლებს, — აცხადებს ადამკუსი.

მისივე თქმით, ლიტვა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სწრაფვას თავისუფლებისკენ და დემოკრატიისკენ.



## 30-იან წლებში დაბრუნება თუ, უბრალოდ, პოლიტიკური დემაგოგია?



ეს არის საშინელი კანონპროექტი. მართალია, ყველა, ვინც ამ კანონპროექტის წინააღმდეგ დღევანდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხმა ამოიღო, უმრავლესობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა უვიცებად და უსინდისოებად მონათლა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის უკან გადადგმული ათი ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად ადამიანის უფლებების დარღვევის პირველი წყარო გახდება.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

### ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის შეფასებით, ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის ვიზიტი საქართველოში ძალზე მნიშვნელოვანია. — მნიშვნელოვანია ასევე საქართველოსა და ზოგადად, ბალტიისპირეთის ქვეყნების ურთიერთობები, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



ბურჯანაძის თქმით, უახლოეს მომავალში საქართველოში იგეგმება ესტონეთის პრეზიდენტის ვიზიტიც და ნიშანდობლივია, რომ ურთიერთობები საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის საკმაოდ მჭიდროდ ვითარდება.

### ნინო ბურჯანაძე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ალსი ჰასტინგსს შეხვდა.

როგორც დახურული შეხვედრის შემდეგ ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მან მადლობა გადაუხადა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტსა და ამერიკის კონგრესის წევრს ობიექტური პოზიციისთვის, რომელსაც იგი ეუთოში და ზოგადად საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოსთან, განსაკუთრებით კი საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით იჩენს.

— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მე დიდი ხნის მეგობრები ვართ. ჩვენ ვისაუბრეთ ყველა იმ საჭირბოროტო საკითხზე, რაც საქართველოს აწუხებს, განსაკუთრებით კი აფხაზეთისა და ცხინვალის შესახებ, — აღნიშნა პარლამენტში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ალსი ჰასტინგსმა.

### ბესო ჯუღელი წყლის ტარიფის გაზრდას გამორიცხავს

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ბესო ჯუღელი კატეგორიულად გამორიცხავს წყლის ტარიფის 2-დან 4 ლარამდე გაზრდას.

განცხადება ბესო ჯუღელმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მას შემდეგ გააკეთა, რაც „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრმა ზურაბ ტყემალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულო წყლის გადასახადის 2-დან 4-ლარამდე გაზრდას გეგმავს.

### მოედანი სახელს შეიცვლის?

რესპუბლიკის მოედანს, შესაძლოა, უახლოეს მომავალში ვარდების რევოლუციის მოედანი ეწოდოს. ამ ინიციატივით თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლებისა და სპორტის მუდმივ კომისიაში მოქალაქეთა განცხადება შევიდა.

როგორც კომისიის გუშინდელ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ სოსო ეგუტიამ განაცხადა, რესპუბლიკის მოედნისთვის სახელის შეცვლის გარდა, მათ ვაკე-საბურთალოს რაიონში, მეტროსადგურ „გოცირიძის“ მახლობლად მდებარე ერთ-ერთი ქუჩისთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების ინიციატივითაც მიმართეს.

ინტერპრესნიუსი

## ჟურნალისტური გამოძიება

# „უპატრონო“ ავანტიურა, ანუ „აშოცკ-ნინოწმინდა“



იხ. მე-3 გვ.

**საბოლოოდ** რა გამოვიდა? — „სემეკს“ ხაზის ქვესადგურ „ნინოწმინდასთან“ მიერთების ოფიციალური ნებართვა არ გაუცია, მაგრამ მიერთება მოხდა. ხაზი ბალანსზე არავის აულია, არც მისი საბალანსო ღირებულება დაუდგენია ვინმეს, მაგრამ დენის მიწოდება მაინც დაიწყო. რაც არ უნდა ერქვას ყველაფერ ამას — არაპროფესიონალიზმი, სამსახურებრივი გულგრილობა, ავანტიურა თუ დანაშაული, ფაქტია, რომ სახელმწიფო სტრუქტურების ყოვლად გაუმართლებელი, გაუაზრებელი და უპასუხისმგებლო ქმედებების გამო, „აშოცკ-ნინოწმინდის“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობით, მივიღეთ მკვეთრად უარყოფითი შედეგები, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

## აბა, წინანდალი, წინანდალი იაფად!

**საპარლამენტო ოპოზიციისა და უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენლის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მთავრობამ წინანდალი 49-წლიანი იჯარით მაინც გასცა.**



გუშინ ეკონომიკის სამინისტროში ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანიის ბარათი გაიხსნა. წინანდლის მოიჯარეა „სილქ როუდ გრუპის“ შვილეული კომპანია „ამბრელა“.

ოპოზიცია ეკონომიკის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

იხ. მე-2 გვ.

## ჩვენს ჯარს თურმე ფსიქოლოგებიღა აკლია



იხ. მე-3 გვ.

## პანორამა

**ინდოეთში** სატელევიზიო ეთერით ახალი ამბების გამოშვების ნაცვლად, შეცდომით გადასცეს რუსული პორნო. ამან ძალზე აღაშფოთა მადჰია-პრადეშის შტატის ქალაქ კაილარასის მცხოვრებლები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ პარასკევს საღამოს ტელევიზიით ნახავდნენ ახალი ამბების გამოშვებას ინგლისურ ენაზე, ამის ნაცვლად კი, რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ აღვირახსნილ რუსულ პორნოს. ქალაქის მცხოვრებლებმა ამაში ადგილობრივი რეტრანსლაციო სადგურის მუშაკები დაადანაშაულეს.

* * *

**ავსტრიელი** ოქრომჭედელი ამზადებს მობილურ ტელეფონს, რომლის ფასი მილიონ დოლარზე მეტი იქნება. პეტერ ელოისონის თქმით, ყურმილი, რომელზეც იგი მუშაობს გერმანიიდან მიღებული შეკვეთის თანახმად, ჩამოსხმული იქნება ხალასი ოქროსგან და დაიფარება 2590 ცისფერი ბრილიანტით — ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი ძვირფასი თვლებით.

* * *

**ევროკავშირი** აპირებს ბელორუსიის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას. ეს სანქციები, კერძოდ, ითვალისწინებენ ბელორუსიის საბანკო ანგარიშების გაყინვასაც. მაგრამ ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დემოკრატიის დონე ბელორუსიაში ვერ დააკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს.

* * *

**პეკინში** დაიწყო ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის შესახებ ექვსმხრივი მოლაპარაკების მეხუთე რაუნდი. მორიგი რაუნდი გახსნა ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ უ დავეიმ. დაგეგმილია, რომ დღის პირველ ნახევარში გაიმართოს პლენარული სხდომა, რომელზეც დელეგაციების მეთაურები მოკლედ ჩამოაყალიბებენ თავთავიანთ პოზიციებს.

## „სტაიანშჩიკები“ გაუქმდნენ, „სტაიანშჩიკები“ დგანან

იხ. მე-7 გვ.

**აი** ასე, გამგეობას თავისი საქმე აქვს, მერიას — თავისი, რომ აღარაფერი ვთქვათ საპატრულო პოლიციაზე, ხალხი კი იყვლიფება, თანაც ამ თანხიდან ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შედის.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## პრეზიდენტმა ყველა მინისტრის დაშინება ვერ შეძლო

იხ. მე-5 გვ.

## მაგრამ ხვალ რომ გავიღვიძოთ და... ინდოევროპელები აღმოვჩნდეთ?!

იხ. მე-6 გვ.



პირველი ევროპელები

## თქვენ გვაჩუქეთ მარადიული მოსაგონარი

ეთნოლოგი სტუდენტების წერილი ზურაბ წერეთელს

იხ. მე-8 გვ.

## რას წერენ რუსები თავიანთ თავზე

### მთელი ძალები - ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად!



იხ. მე-5 გვ.

კანონმდებლები

# 30-იან წლებში დაბრუნება თუ, უბრალოდ, პოლიტიკური დემაგოგია?

**საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს პირველი მოსმენით კენჭი უყარა. ახალი კანონპროექტის მიხედვით, მოქალაქეებისა და ჟურნალისტების სასამართლო პროცესზე დასწრება და ვიდეოგადაღება იზღუდება, შემოდის ე. წ. ანონიმური მოწმის სტატუსი, ანუ ბრალდებულს საშუალება არ ექნება დაუპირისპირდეს იმ პირს, რომელიც მას დანაშაულში ამხელს. კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტარებში განსხვავებული აზრი, შემოგთავაზებთ უმრავლესობის და ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელის მოსაზრებას:**

**ივლიანე ხაინდრავა, ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“:** — საპროცესო კოდექსის თითქოსდა გამარტივება მიმართულია რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგ, ის მხოლოდ დამსჯელ ორგანოებს უადვილებს საქმიანობას. მაგალითისთვის მოვიყვან ჩხრეკის ოქმის გაუქმებას, ანუ ოპერმუშაკს შეუძლია ჩხრეკა ჩაატაროს დამსწრეების და მოწმეების გარეშე, დაურთოს ის დაკავების ოქმს და შემდეგ სასამართლო პროცესზე გამოიყენოს, როგორც მტკიცებულება, ანუ თუ დღეს ნარკოტიკის ჩადება, იარაღის ჩადება ძალიან გავრცელებული მეთოდია ადამიანის დასაშინებლად, მომავალში ეს პროცედურა მარტივდება და ამას ერთი პოლიციელი მოწმის გარეშე ჩაატარებს. ადამიანის დაცვის შესაძლებლობები ართულდება, აგრეთვე, დაპირისპირების ამოღება. „ანონიმკების“ საკითხს კი 30-40-იანი წლების ვითარების აღდგენისკენ მივყავართ, როცა საგამოძიებო მოქმედების დაწყება შესაძლებელია ანონიმური წერილის, დასმენის საფუძველზე. ამან თავის დროზე რა შედეგიც მიგვიტანა, ყველას კარგად გვახსოვს. მოკლედ, არის ბევრი ღონისძიება, რომელიც ხელ-ფეხს უხსნის მხოლოდ სამართალდამცველებს. ასეთი ცვლილებების მიღება კი განაპირობა ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ, როცა ხელისუფლება ორიენტირებულია რეპრესიებზე, დაშინებაზე, გამოძალვაზე და მუქარაზე.

**გია მეფარიშვილი, ფრაქცია „დემოკრატიული მაჟორიტარები“:** — ეს არის საშინელი კანონპროექტი. მართა-



ლია, ვცდა, ვინც ამ კანონპროექტის წინააღმდეგ დღევანდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხმა ამოიღო, უმრავლესობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა უცივდება და უსინდისობად მონათლა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის უკან გადადგმული ათი ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად ადამიანის უფლებების დარღვევის პირველი წყარო გახდება. 95-ე მუხლში ჩადებულია, რომ სასულიერო პირმა შეიძლება ჩვენება მისცეს, ეს ხომ დაუშვებელია. ეს არ არის ის გზა, რომელიც ჩვენ ტაძრამდე მიგვიყვანს. ამ კანონპროექტზე მუშაობდნენ კარგი ბავშვები, ზოგი წელს ამთავრებს უნივერსიტეტს, ზოგი მეოთხე კურსზეა, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი, ნუთუ ერთმა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მეორე?... მინდა მჯეროდეს, რომ ეს ასეა.

**ელენე თევდორაძე, უმრავლესობის წევრი:** — ვეცდებით, რომ დავსხდეთ და ზოგ საკითხზე კიდევ შევჯერდეთ, როგორიცაა: პრესის სასამართლოზე დაუშვებლობა, ანონიმური მოწმის სტატუსი, შინაპატიმრობა, ოპერატიული სამძებროს მიერ მუშაობის ჩატარება წინასწარი დაკავების საკანში და ა. შ., მინდა დავარწმუნო ავტორები, რომ ცოტა სხვანაირი ფორმულირება არის საჭირო. ვფიქრობ, რომ შინაპატიმრობა აუცილებლად უნდა დავტოვოთ, ანონიმურობა შეიძლება მისაღები იყოს მხოლოდ ტერაქტის, მკვლელობის, ყაჩაღური თავდასხმის დროს, ხოლო წინასწარი დაკავების საკანში ჩხრეკის წარმოება საერთოდ დაუშვებელია. უმრავლესობის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ეს ცვლილებები ხალხის სასიკეთოდ იმუშავებს, ამგვარი შეფასება კი, ჩემი აზრით, არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს.

**გივი თარგამაძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:** — ოპოზიცია არ არის საქმის კურსში, ბევრს წაკითხულიც არ აქვს კანონპროექტი და აჟიოტაჟის ატეხვას ტყუილად ცდილობს. ანონიმურობის, დასმენის ინსტიტუტი ჩვენთან უკვე მუშაობს. შევარდნაძის ხელისუფლების დროს ხშირად მიწევდა პროცესზე გამოსვლა ხან ბრალდებულად, ხანაც მოწმის სახით და გეტყვით, რომ ამაზე უაზრო პროცედურა მე არ მინახავს. ამ პროცედურით ხშირად პროკურატურა მანიპულირებდა, მომავალში კი პროკურატურას ამის საშუალება აღარ ექნება, რის შემდეგაც ძალოვნებს გაუჭირდებათ არაკეთილსინდისიერად მოიპოვონ მტკიცებულებები. ვფიქრობ, ცვლილებების შედეგად ბევრი მავნე მექანიზმი აღმოიფხვრება.

**ნიკა გვარამია, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:** — ვფიქრობ, ოპოზიციის პრეტენზიები არ არის სამართლებრივად დასაბუთებული, მათ განცხადებაში ლოგიკას ვერ ვხედავ, ეს არის უბრალოდ პოლიტიკური დემაგოგია.

**მოამზადა**
**ლელა ხვადაგიანმა**

სიტუაცია

# აბა, წინანდალი, წინანდალი იაფად!

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ეკონომიკის სამინისტრომ წინანდალთან დაკავშირებით ტენდერი ხელმეორედ უნდა გამოაცხადოს. განცხადება მიხეილ მაჭავარიანმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ოპოზიციური ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა პასუხი მოითხოვა 8 ნოემბერს ეკონომიკის სამინისტროში წინანდალთან დაკავშირებით ჩატარებული ტენდერის გამო.**

— როდესაც ოპოზიცია აპროტესტებდა წინანდლის ტენდერს, მაშინ საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობა ჩვენ გვეუბნებოდა, რომ ოპოზიცია ღია კარს ამტვრევს, რადგანაც წინანდლის ტენდერის საკითხი გადადებულია. რა ხდება დღეს? — განაცხადა ზურაბიშვილმა. მაჭავარიანის განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ გრიგალაშვილის პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა და მდგომარეობს იმაში, რომ ტენდერი ხელმეორედ უნდა ჩატარდეს ეკონომიკის სამინისტროში, რადგან მხოლოდ ერთი განცხადებაა ეკონომიკის სამინისტროში შესული და ეს კონკურსის ფორმას არ აკმაყოფილებს.

— ჩვენ შედარების საშუალება არა გვაქვს, რადგან ეკონომიკის სამინისტროში მხოლოდ ერთი განცხადებაა შესული. როგორ უნდა დავადგინოთ ვისი პირობები უფრო მომგებიანია, როცა მხოლოდ ერთი განცხადებაა შესული? — აღნიშნა მაჭავარიანმა.

წინანდლის რეზიდენციის იჯარით გაცემის თაობაზე განაცხადების მიღება 8 ნოემბერს დასრულდა.



დღის მეორე ნახევარში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შევიდა ერთი განაცხადი „სილქ როუდ გრუპის“ შვილეული კომპანია „ამბრელა კონსალტინგისგან“, რომელმაც „ბე“-ს სახით 7000 აშშ დოლარი გადაიხადა.

საიჯარო პირობების თანახმად, რეზიდენცია და მიმდებარე ტერიტორია, სადაც ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმიც მდებარეობს, ინვესტორს 49-წლიანი იჯარით გადაეცემა. ინვესტორი ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტში 70 000 აშშ დოლარს შეიტანს, ხოლო ორი წლის განმავლობაში მინიმუმ 5 000 000 დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. საიჯარო პირობებში ჩადებულია სახლ-მუზეუმისა და არსებული ექსპონატების მოვლა-პატრონობის ვალდებულება, პერსონალის დასაქმება და თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

დღის შეკითხვა

# რას გვიქადის ანონიმური მოწმე?

**სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ კანონპროექტზე საქართველოს პარლამენტში 8 ნოემბერს იმსჯელეს.**

**კანონპროექტი ეხება ე. წ. ანონიმური მოწმის სტატუსის შემოღებას, ანუ ბრალდებულს საშუალება არ ექნება დაუპირისპირდეს იმ პირს, რომელიც მას დანაშაულში ამხელს.**

**ამ კანონპროექტს უამრავი მოწინააღმდეგე საკანონმდებლო ორგანოში და არასამთავრობო ორგანიზაციებში უკვე გამოუჩნდა. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობას აზრის გამოთქმა ვთხოვეთ:**

**გიორგი კაპანაძე, იურისტი:** — ჩვენს პარლამენტს ბევრი უმართებულო კანონპროექტი დაუმტკიცებია, მაგრამ ეს „ანონიმური მოწმე“ მთლად „მარგალიტია“. ეს არის აბსურდული პროექტი, რომელიც ისედაც აწეწილ სასამართლო სისტემას თავდაყირა დააყენებს. როგორ შეიძლება ბრალდებული სასამართლო პროცესზე ვერ უპირისპირდებოდეს იმ ადამიანს, ვინც ბრალი დასდო. ფაქტობრივად ისე გამოდის, რომ ადამიანის (პატიმრის) უფლებების გათელვას აკანონებენ. ეს სრულიად დაუშვებელია.

**დავით ქიქოძე, ეკონომისტ-იურისტი:** — ყოვლად დაუშვებელი კანონპროექტია. ასეთი კანონის მიღება და ისიც საქართველოში, სადაც პირადი ინტერესების გამო ერთმანეთის გაწირვა ვისწავლეთ, ასეთი რაღაცის შემოღება დაუშვებელია. ხომ შეიძლება ვიღაცამ ვიღაცა ტყუილად დააბეზღოს, მერე თვითონ არხეინად იაროს და უდანაშაულო კაცი ციხეში ჩაჯდეს?

**ჯემალ უსუფაშვილი, პოლიტოლოგი:** — თუ ამ კანონპროექტს დაამტკიცებენ, გარდა იმ ალბათობისა, რომ შეიძლება უამრავი უდანაშაულო მოხვდეს ციხეში, ძალიან გაურთულდებათ მუშაობა ადვოკატებსაც. ფაქტობრივად, ისინი ბრალდებულს ვეღარ დაიცავენ, ვერ დაამტკიცებენ, რომ, დავუშვათ, მოწმეს პირადი ინტერესები ამოძრავებდა და ამიტომაც ბრალდება შეთხზა. ასეთი ფაქტები ხშირად ხდება და ნაცვლად იმისა, რომ ამას ებრძოლონ, პირიქით, ხელს უწყობენ.

**როსტომ განუგრავა, ინჟინერი:** — დღეს ციხეებში და მის გარეთაც უთვალავი პოლიციის „ნასედკაა“. საჭიროების შემთხვევაში პოლიციას შეუძლია მათი დახმარებით უამრავი საქმე შეკეროს. მერე მოწმეს გაასაჩივრებენ და ამტკიცონ, რაც გინდა.

**ჯაბა ხუბუა**



თანამშრომლობა

# აშშ სახელმწიფო ხაზინა ქართველ აუდიტორებს ეხმარება

**გადამხდელებისთვის უკეთესი სამსახურის გაწევისა და კონტროლის სამმართველოს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, აშშ სახელმწიფო ხაზინამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს საჩუქრად გადასცა აუდიტის ორი სახელმძღვანელო.**

ამ გამოცემებში მოცემულია ინფორმაცია უცხოეთიდან კონტროლირებული კორპორაციების საქმიანობისა და მათი კონტროლის ძირითადი პრინციპების შესახებ. განხილულია ფასების ტრანსფერის საკითხი და ამ რთული მიმართულებით ამერიკის საგადასახადო სამსახურის მიერ გამოყენებული მეთოდები.

მართალია, სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მასალები ინფორმაციული ხასიათისაა და მათ იურიდიული ძალა არა აქვთ, მაგრამ იგი საგადასახადო დეპარტამენტის აუდიტორებს საშუალებას აძლევს გაეცნონ საგადასახადო შემოწმების იმ მეთოდებს, რომელსაც ამერიკის საგადასახადო სამსახურის (IRS)აუდიტორები იყენებენ. ამასთან, მოცემული მეთოდების უმრავლესობა წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალი საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ.

სახელმძღვანელოების ავტორია აშშ სახელმწიფო ხაზინის მრჩეველი ტომ სიმსონი, რომელიც თავადვე ატარებს შესაბამის ტრენინგებს საგადასახადო დეპარტამენტის სისტემის აუდიტორებისათვის, რომელთაც წინასწარ დაურიგდათ აღნიშნული გამოცემები.

ტრენინგები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**

მთავრობა

# დაიწყება თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობა?

**მთავრობის გუშინდელმა სხდომამ 39 საკითხზე იმსჯელა. მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ხუროშვილმა მინისტრთა კაბინეტის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა კანონპროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.**

სხდომამ იმსჯელა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტზე საპატრიარქოსთვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ნათია თურნავამ ჟურნალისტებს განუმარტა, თუ რა მიზანს ისახავს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პროექტი:

„ამ საკითხზე ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღია. მხოლოდ ვიმსჯელეთ. თურქეთი არის ერთადერთი ჩვენი სტრატეგიული მეზობელი, რომელთანაც თავისუფალ ვაჭრობას არ ვაწარმოებთ. შეთანხმება ხელს შეუწყობს ჩვენი პროდუქციის ექსპორტს. იმავდროულად, ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილებაც“.

რაც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, ნათია თურნავას თქმით, იგი უკვე მოძველებულია, რადგან რუსეთს, ე. წ. ამოღებათა ოქმის მიხედვით, ცალმხრივად დაუწესებია შეზღუდვები.

შეთანხმების ახალი პროექტი გააუმჯობესებს ტრანზიტს, გააუქმებს ამოღებათა ოქმს და რაოდენობრივი შეზღუდვები აღარ იარსებებს.

ნათია თურნავამ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების იმ პროექტზეც ისაუბრა, რომლის მიხედვითაც თურქულ კომპანია „გიუნაის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემა. „ეს ადგილი ფოთის ჩრდილოეთით მდებარეობს. აუთვისებელია. კომპანიამ ვალდებულება აიღო ოთხიოდე წელიწადში ქარხნის ასაშენებლად.

ისინი ყოველწლიურად სახელმწიფოს სასარგებლოდ 500 ათას დოლარს გადაიხდიან, თანაც ჩადებენ ინვესტიციას და ხალხს დაასაქმებენ, მაგრამ თუ ისინი განსაზღვრულ ვადაში ქარხანას ვერ ააშენებენ, სახელმწიფო იტოვებს უფლებას ხელშეკრულების გადასახედად.

მთავრობის სხდომამ იმსჯელა, აგრეთვე, 2000 წლის 3 თებერვლის პრეზიდენტის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში არსებული ლილოს ბაზრობა და სპორტის სასახლის მიმდებარე 26 ჰექტარი მიწის ფართობი უშუალოდ ისევ სახელმწიფოს დაუბრუნდება. მეცნიერებათა აკადემია თავად შესულა მთავრობაში ამ წინადადებით.

**თამარ შაიშმელაშვილი**

აქტუალური თემა

# რუსეთი ტყუილით გვეტრაბახება

**ამერიკული სააგენტო საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისთვის სესხს გამოყოფს. 30 მილიონი დოლარიდან (ეს თანხა საქართველოს გარდა, აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და სამხრეთ აფრიკის 18 ქვეყანას უნდა მოხმარდეს), საქართველოსთვის რამდენია განსაზღვრული, ჯერჯერობით, პარლამენტში ამას ვერ აზუსტებენ. კულუარებში ლაპარაკობენ მხოლოდ იმაზე, რომ სესხი გრძელვადიანი იქნება და იგი აუცილებლად მცირე ბიზნესის განვითარებას მოხმარდება.**

მოგეხსენებათ, ახალი საგადასახადო კოდექსი, ერთი შეხედვით, უფრო ლმობიერია, მაგრამ, ფაქტია, რომ მისგან არც წვრილი და არც საშუალო ბიზნესი არ აყვავებულა. ამერიკა ყოველმხრივ ძალიან კი გვეხმარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირითადად საგარეო ინვესტიციები ჩვენთან მხოლოდ რუსეთის კაპიტალით არის შემოფარგლული. არადა, ამერიკული ეკონომიკის სიძლიერის გამოყენება რომ უფრო ჭკვიანურად შეიძლება, ეს ჩინეთის მაგალითზეც კარგად ჩანს. ჩინეთმა, რომლის ეკონომიკური ბუმი პირდაპირ არის დაკავშირებული უცხოეთის, ძირითადად ამერიკის ინვესტიციებზე, იაფი მუშახელისა და ეფექტიანი პოლიტიკის წყალობით ისეთ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, შეიძლება ითქვას, დააფრთხო კიდეც ამერიკა. ნებისმიერი ეკონომიკური წარმატებისთვის შესაბამისი კანონმდებლობაა საჭირო. ბუნებრივია, ჩვენც ისეთ კანონმდებლობაზე ვოცნებობთ, რომელიც ააყვავებს ეკონომიკას, საინვესტიციო გარემოს. მაგრამ ეს ადვილად მისაღწევი არ არის. ალბათ, წარმატებებს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ველოდოთ. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ პარლამენტარები. მათი თქმით, მართალია, შეფერხებები არის, მაგრამ, რაც მთავარია, პროცესი ამ მიმართულებით დაწყებულია.

ამბობენ, რომ რუსეთი, პოლიტიკური მოსაზრებით, საქართველოსა და უკრაინას გაზს გაუძვირებს. ექსპერტების აზრით, თუ ამას გააკეთებს, რუსეთი ბევრს წააგებს, რადგან საქართველოსა და უკრაინისთვის გაზის გაძვირებით იგი საკმაოდ დიდ ბაზარს დაკარგავს, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ პრობლემებს შეუქმნის თავად რუსულ კომპანიებს, რომლებიც გაზის ექსპორტით არიან დაკავებული.

**საინტერესო დეტალი:** რუსეთი ფინეთს ელექტროენერგიას 1,5 ცენტად აძლევს, მაშინ, როცა საქართველო რუსეთს 2,6 ცენტს უხდის. თავად რუსეთი გაზს, რომელიც საქართველოს 60-65 დოლარად აძლევს, თურქმენეთში 45 დოლარად ყიდულობს. ასე რომ, არსებულ რეალობაში რაღაც საერთაშორისო მსოფლიო ბაზებზე საუბარი მთლად სწორი არ გამოდის. ექსპერტთა აზრით, საერთაშორისო ფასები, რომლითაც რუსეთი ხშირად მანიპულირებს, მხოლოდ ნავთობზე და ბენზინზე არსებობს. ამ ფონზე ცოტა არ იყოს, უცნაურია რუსეთის განცხადება, თითქოს იგი ჩვენ გაზს იაფად გვაძლევს. ამას ტყუილით ტრაბახი ჰქვია.

**მზია გელენავა**

თემიდა

# კლინიკას სახელმწიფოს წარმომადგენლები შეარჩევენ

**საქართველოს მიერ ევროსასამართლოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადა დღეს იწურება.**

მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად პარიტეტული წესით დაკომპლექტებული სამედიცინო კომისია შეიქმნა, რომელშიც ადვოკატებისა და სახელმწიფოს მხრიდან შერჩეული 8 წევრი შევიდა. მოლაშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, რომ ამ კომისიის დასკვნა არ ასახავს სტრასბურგის სასამართლოს მოთხოვნას, რადგან მოლაშვილისთვის „C“ ჰეპატიტზე გამოსაკვლევად სისხლი არ აუღიათ.

მისი თქმით, განსასჯელი მეტი დამაჯერებლობისთვის მოითხოვდა მისი სისხლი ლიმბახის სახელობის გერმანული კლინიკის წარმომადგენლებს შეემოწმებინათ, რაზეც სახელმწიფოს წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს. სახელმწიფოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სისხლის გამოკვლევა მხოლოდ მათ მიერ დასახელებულ კლინიკაში მოხდებოდა და დაცვის მიერ წარმოდგენილ სპეციალისტებს მონაწილეობის მიღება მხოლოდ ამ ანალიზის შეფასებაში შეეძლებოდათ, — განაცხადა შავგულიძემ.

ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ექიმებზე სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა ხორციელდება, რათა „დაკავებულის ავადმყოფობა არ დადასტურდეს და მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება არ მოხდეს“. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სულხან მოლაშვილს თოდუას სახელობის კლინიკაში 5 ნოემბერს სხვადასხვა გამოკვლევა ჩაუტარდა.

სტრასბურგის სასამართლოს მითითების შესაბამისად, სამედიცინო შემოწმე-



ბის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სისხლის ანალიზის აღება იყო, რაზეც სულხან მოლაშვილმა უარი განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მას ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, სამედიცინო გამოკვლევებისათვის ხელი არ შეეშალა.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## თანამოძმე მშიერი რომ არ იყოს

**საქართველოს** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ მუხიანის დასახლებაში მზრუნველობას მოკლებულთათვის უფასო სასადილოს პრეზენტაციას დაესწრო. ამ სასადილოში უფასო კვების საშუალება ერთდროულად დაახლოებით 40-50 ადამიანს აქვს. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები აცხადებენ, მსგავსი სასადილოები მიმდინარე წლის ბოლოსათვის მთელი საქართველოს მასშტაბით, დაახლოებით 100 ერთეული გაიხსნება. აქედან 20 — თბილისში, 80 — სხვადასხვა რეგიონში. წელიწადში ამ მიზნით დაახლოებით 3 მილიონ 600 ათასი ლარი დაიხარჯება.

როგორც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე აცხადებს, ამჟამად ქვეყანაში უკვე მოქმედებს 50-მდე მსგავსი სასადილო, თუმცა ამ სასადილოების ფუნქციონირებას ადგილობრივი გამგეობები აფინანსებენ, ხოლო მუხიანში სასადილო ნაციონალური მოძრაობის ეგიდით გაიხსნა.

მიხეილ სააკაშვილი პენსიონერებს მომავალი წლიდან პენსიების გაზრდას ჰპირდება. მისი თქმით, პენსიები მომავალი წლიდან აუცილებლად გაიზრდება, უპოვართათვის და გაჭირვებული მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი იქნება ასევე სიღარიბის დაძლევის პროგრამის ამოქმედებაც. პრეზიდენტის მოწოდებას, რომ ბიზნესმენებს გაეღოთ გარკვეული თანხები, რათა ქვეყანაში მოხერხებულიყო უპოვარ ადამიანთათვის დახმარების გაწევა, რამდენიმე ბიზნესმენი უკვე გამოეხმაურა. პრეზიდენტის თქმით, მსგავს დახმარებებს მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებს კიდევ ბევრი ბიზნესმენი გაუწევს. როგორც პრეზიდენტი აცხადებს, ვინც ამ მოწოდებას უახლოეს მომავალში გამოეხმაურება, მის პირად მეგობრად ჩაითვლება და ამისათვის მათ დიდ მადლობას გადაუხდის.

## წინასწარ გმადლობთ, ბილბაო!

**ესპანეთის** ქალაქ ბილბაოდან დაბრუნებული თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტის“ წარმომდგენლები ესპანური ვიზიტის შედეგებს აჯამებენ.

როგორც ფრაქციის წევრმა კახა ძაგანიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ლეიბორისტების“ ვიზიტი ბილბაოში ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით შედგა, რაც თბილისსა და ბილბაოს შორის ურთიერთობების გაღრმავებას ითვალისწინებდა. კახა ძაგანიას განცხადებით, დელეგაცია ქალაქის პრემიერს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა თბილისსა და ბილბაოს შორის თანამშრომლობის გეგმები იყო. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ შეიქმნება საერთაშორისო ცენტრი, რომელიც საფუძველს ჩაუყრის ქართველი და ესპანელი სტუდენტებისა და სპორტსმენების გაცვლით პროგრამებს. მისივე განცხადებით, ბილბაო, რომელსაც სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება აქვს, მიწისძვრით დაზარალებულ თბილისს სპეციალისტებით დაეხმარება.

## ევროპაში — ბუნტების გამოძახილი

**ევროს** კურსის გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვებს საფრთხეს არ შეუქმნის. საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ეროვნული ბანკის საერთაშორისი სავალუტო რეზერვებს, აშშ დოლართან მიმართებით ევროს გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო საფრთხე არ ემუქრება. 8 ნოემბერს აშშ დოლარის კურსმა ევროსთან მიმართებით 1.1735 შეადგინა, რაც 2004 წლის 13 მაისის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

— აღნიშნული გადაწყვეტილება რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. მათგან მნიშვნელოვანია სავალუტო რისკების დივერსიფიკაცია და რეზერვების მართვით მიღებული შემოსავლების ზრდა. ამასთან, რეზერვების გადანაწილების პროპორცია მოსახერხებელი უნდა იყოს იმისათვის, რომ ქვეყანა შეუფერხებლად მოემსახუროს საგარეო ვალებს, რაც ძირითადად აშშ დოლარშია დენომინირებული, — აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

## როცა დენთის კვალი არ არის...

**პარლამენტარ** გოჩა ჩახვაძის მეუღლის ეთერ ჭუმბურიძის ადვოკატებმა გენერალურ პროკურატურაში გუშინ საჩივარი შეიტანეს, რომლის თანახმადაც ისინი ჩახვაძისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნას ხელახლა მოითხოვენ. ბრალდებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა გირშელ ძებნიაურმა განაცხადა, რომ დაცვის მხარე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს გიორგი ლაცაბიძეს სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით გენპროკურორ ზურაბ ადეიშვილთან შუამდგომლობას სთხოვს. „ეს უფლება მხოლოდ გენერალურ პროკურორს აქვს. გამოძიების ობიექტური წარმართვისთვის, ჩახვაძეს სადეპუტატო იმუნიტეტი უნდა მოეხსნას, რათა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოვითხოვოთ. ამ მოთხოვნით, დაცვის მხარემ გენერალურ პროკურატურას 20 ოქტომბერს მიმართა, თუმცა, შუამდგომლობაზე პასუხი თბილისის პროკურატურამ გაგვცა და მოთხოვნა უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა,“ — განაცხადა ძებნიაურმა. მისი თქმით, გარდა ამისა, ადვოკატები ეთერ ჭუმბურიძის წინააღმდეგ აღძრული საქმის გენერალური პროკურატურისთვის დაქვემდებარებას მოითხოვენ.

1 ოქტომბერს ხარაგაულის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გოჩა ჩახვაძის მეუღლე ეთერ ჭუმბურიძე დააკავეს. ოფიციალური ინფორმაციით, ჩახვაძეს მეუღლემ 4 ტყვია ესროლა. ჭუმბურიძეს ბრალი ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების მუხლებით წაუყენეს. 3 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ჭუმბურიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლე მანუჩარ კაპანაძის ბრძანება დაცვის მხარემ თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. 10 ოქტომბერს საოლქო სასამართლომ ჭუმბურიძე ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით, სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა. თბილისის პროკურატურის ექსპერტიზის დასკვნით, ჭუბურიძის ხელზე არ აღმოჩნდა დენთის კვალი, რის გამოც გამოძიების მხარემ მხარი დაუჭირა ეთერ ჭუმბურიძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების მსუბუქი ფორმით შერჩევის შუამდგომლობას.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ ჟურნალისტური გამოძიება

## „აშოცკ-ნინოწმინდა“ — კონტრაბანდის შემოდინების საშუალება

„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია“ სომხეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიას ნინოწმინდის და ახალქალაქის რაიონებს ოფიციალურად აწვდის 2002 წლის ბოლოდან, მხოლოდ გარკვეული თვეების განმავლობაში, „სემეკის“ მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. მიწოდება ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროგადამცემი „ნინოწმინდის“ საშუალებით. დანარჩენი თვეების განმავლობაში აღნიშნულ რაიონებს ელექტროენერგიით ჩვენი სამამულო ენერგოსისტემა ამარაგებს. ელექტროენერგიის მიწოდება ხდება გრაფიკით და არა 24-საათიან რეჟიმში.

ისმის კითხვა: თუ 2000 წლის ბოლოდან („აშოცკ-ნინოწმინდის“ მშენებლობის დამთავრებიდან) აღნიშნულ რაიონებს აქვთ ყოველდღიური 24-საათიანი ელექტრომომარაგება და არ ხდება ასეთ, მაშინ რა არის არსებული ელექტროენერგიის დეფიციტის შევსების წყარო? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — **წყარო არის სომხეთის ენერგოსისტემა, რაც ნიშნავს იმას, რომ ელექტროენერგიის ეს ნაკადი სომხეთიდან საქართველოში არის კონტრაბანდული.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ნათელი ხდება მიზეზი, რომლის გამოც საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე არ განახორციელა ჩვენს ტერიტორიაზე არსებული „აშოცკ-ნინოწმინდის“ მონაკვეთის ლეგალიზაცია, რის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მდიდრდებიან ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული ჩინოვნიკები.

## სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო

„აშოცკ-ნინოწმინდის“ ხაზის არსებობაში მნიშვნელოვანი „ღვაწლი“ მიუძღვის სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს (დ. მირცხულავას წინამორბედს) ბატონ თ. გიორგაძეს. 1999 წლის 29 სექტემბერს მან, სომხეთის ენერგეტიკის მინისტრთან (დ. ზადოიანი) ერთად, ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც საქართველოსა და სომხეთს შორის უნდა დაწყებულიყო ახალი, 220 ან 110 კვ სისტემათაშორისო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. შეთანხმების საფუძვლად გამოყენებულ იქნა საქართველოს (ე. შევარდნაძე) და სომხეთის (რ. კოჩარიანი) პრეზიდენტების მიერ 1998 წლის 20 ნოემბერს ხელმოწერილი მემორანდუმის მე-5 პუნქტი. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პუნქტი მხარეებს არავითარ საფუძველს არ აძლევდა ამგვარი შეთანხმების გასაფორმებლად. მიუხედავად ამისა, საქართველოს წარმომადგენელმა თ. გიორგაძემ საჭიროდ ჩათვალა, პირადი ხელმოწერით დაედასტურებინა ეს შეთანხმება. ჩვენთვის უცნობია, რა ამოძრავებდა მას. ერთი რამ ცხადია — თ. გიორგაძეს ან არ წაუკითხავს ზემოთ ხსენებული მემორანდუმი ან პირიქით, გაეცნო მას და შეგნებულად, შეთანხმებაზე ხელის მოწერით, გააყალბა მემორანდუმის მე-5 პუნქტის შინაარსი. ორივე შემთხვევაში თ. გიორგაძემ ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა, თუმცა ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ შეთანხმებაში საერთოდ არაფერია ნათქვამი კონკრეტულად „აშოცკ-ნინოწმინდის“ მშენებლობასთან დაკავშირებით.

## სომხური „მოსანსრაფება“ და ქართული „ბედოვლათობა“

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის და სომხეთის ენერგეტიკის მინისტრების მიერ 1999 წლის 29 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმების 2-ე და 3-ე პუნქტების თანახმად, სავალდებულო იყო ორი ქვეყნის ენერგოსისტემების ერთობლივი სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომელთაც უნდა დაევალებინათ ხაზის პროექტირება, მისი ღირებულების განსაზღვრა და მშენებლობის საჭირო სხვა ღონისძიებების გატარება. ბ-ნ თ. გიორგაძემ, 1999 წლის 22 ოქტომბრის № 54 ბრძანებით, შექმნა კიდევ ასეთი სამუშაო ჯგუფი, თავისი პირველი მოადგილის მ. ყიფშიძის ხელმძღვანელობით. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სამუშაო ჯგუფმა სომეხ კოლეგებთან კონტაქტის დამყარებაც კი ვერ შეძლო, არათუ მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება.

სომხურმა მხარემ კი გასაოცარი ოპერატიულობით შექმნა სამუშაო ჯგუფი და სასწრაფოდ, შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში მოავლინა თბილისში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრთან შესახვედრად. შეხვედრაზე, რომელიც შედგა 1999 წლის ოქტომბრის დასაწყისში, სათბობ-ენერგეტიკის მაშინდელმა მინისტრმა თ. გიორგაძემ სომხურ მხარეს შესთავაზა სომხეთიდან ხაშურამდე 250 კმ. სიგრძის მაღალი ძაბვის 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის ერთობლივი მშენებლობა. სომხურმა დელეგაციამ თანხმობა განაცხადა ამ წინადადებაზე. ამასთან დასვა საკითხი, რომ პირველ ეტაპზე, 1999 წლის ბოლოსთვის, აშენებულიყო 35 კმ. სიგრძის მონაკვეთი „ქვესადგური აშოცკი — ქვესადგური ნინოწმინდა“, რომელიც დროებით ჩაირთვებოდა 110 კვ. ძაბვით, ხოლო მეორე ეტაპზე, 2000 ბოლოსთვის, დაესრულებინათ მშენებლობა ხაშურის მიმართულებით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 1999 წლის 11 ნოემბერს სს „ელექტროგადამცემის“ გენერალურმა დირექტორმა გ. ჯავახაძემ სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს კ. სარქისიანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნა, რომ ქართული მხარე ვერარით ვერ დაეთანხმება სომხური მხარის წინადადებას პირველი ეტაპის სამუშაოების შესრულებაზე, რაც გულისხმობდა ხაზის ჩართვას 110 კვ. ქვესადგურ „ნინოწმინდაში“ და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს მხარისთვის მისაღებია იყო ხაზის მშენებლობა მხოლოდ ხაშურის მიმართულებით.

**სომხეთის ენერგეტიკის სამინისტრომ ყურად არ იღო ქართული მხარის მიერ დადასტურებული პოზიცია და ცალმხრივად, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე დაიწყო მზადება ხაზის საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობისთვის.**

9-თვიანი დუმილის შემდეგ, 2000 წლის 21 ივლისს, სომხებმა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ახალ მინისტრს დ. მირცხულავას „ახარეს“ საქართველოს ტერიტორიაზე „აშოცკ-ნინოწმინდის“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის დაწყება. ამასთან, სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა კ. გალუსტიანმა, ქართველი კოლეგის სახელზე გამოგზავნილ წერილში სრულიად უცერემონიოდ იცრუა, ვითომდა, „აშოცკ-ნინოწმინდის“ მშენებლობა მიმდინარეობდა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის და სომხეთის ენერგეტიკის მინისტრების მიერ ხელმოწერილი 1999 წლის 29 სექტემბრის შეთანხმების საფუძველზე.

საკითხის შესწავლის მიზნით, სინამდვილეში კი, როგორც მოგვიანებით დადასტურდა, ფორმალურად, 2000 წლის 19 ივლისის № 39 ბრძანებით დ. მირცხულავამ შექმნა სამუშაო ჯგუფი გ. ჯავახაძის ხელმძღვანელობით.

მინისტრი არ დაელოდა სამუშაო ჯგუფის დასკვნას, უაპელაციოდ მიიღო სომხური მხარის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის დაწყების შესაძლებლობა და პრეზიდენტ ე. შევარდნაძის სახელზე გააგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვა, საკითხის განხილვა დახურულ სამთავრობო სხდომაზე ან უშიშროების საბჭოზე.

როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ჩვეული აკადემიურობით, წერილი ურეაგირებოდ დატოვა.

დ. მირცხულავამ, როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა და დარგის პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურის პირველმა პირმა, იმის ნაცვლად, რომ დაეცვა საქართველოს სახელმწიფო ინტერესები, რათა თავიდან აეცილებინა ქვეყნისთვის არაფრის მომცემი ხაზის მშენებლობა, რაც დადასტურდა კიდეც გ. ჯავახაძის ხელმძღვანელობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დასკვნაში, გამოიჩინა ყოვლად გაუმართლებელი ინერტულობა, უპრინციპობა და გულგრილობა. არც ბატონმა მინისტრმა და არც ხელისუფლების სხვა უმაღლესმა თანამდებობის პირებმა საჭიროდ არ ჩათვალეს გამოეთქვათ პროტესტი სომხეთის ამ მიზანმიმართული ექსპანსიის გამო.

**შედეგად სომხურმა მხარემ ჩვეული ენერგიულობით გააგრძელა დაწყებული საქმე და საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებული „ბედოვლათების“ დანაშაულებრივი ხელშეწყობით, 2000 წლის 6 ოქტომბერს განაცხადა ხაზის მშენებლობის წარმატებით დასრულების თაობაზე.** ამასთან, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მოსთხოვა მისი ჩართვა ქვესადგურ „ნინოწმინდაში“, ხაზის სს „ელექტროგადამცემის“ ბალანსზე მიღება და სომხეთის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სომხეთის მიერ მოთხოვნილი თანხა არ აღემატებოდა 1,5 მლნ დოლარს.

**საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მაღალჩინოსანთა უცოდინარობა, უსუსურობა და უსახურობა კიდევ ერთხელ წარმოჩინდა „აშოცკ-ნინოწმინდის“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის დასრულებისთანავე,** როცა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. უფლისაშვილმა სომხეთის მხარეს, მათი წერილის პასუხად, უპატაკა, რომ ხაზის ქვესადგურ „ნინოწმინდაში“ ჩართვის საკითხი დასმულია საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინაშე, ხოლო ძაბვის მიწოდება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება „სემეკის“ გადაწყვეტილება და დადგინდება ხაზის საბალანსო კუთვნილება და ღირებულება, მისი სახელმწიფო კომპანია „ელექტროგადამცემისთვის“ გასაცემად. ამ წერილით მან, ფაქტობრივად, დაადასტურა სომხური მხარის მოთხოვნათა კანონიერება და აღიარა საქართველოს ფრიად საეჭვო წარმოშობის ვალდებულებები. **არადა, სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ჩვენს ჩინოვნიკებს ჰქონდათ ყველანაირი მორალური და იურიდიული უფლება, რადგან არსად, არც ერთ დოკუმენტზე, შეთანხმებასა თუ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით საქართველოს არც ერთ ოფიციალურ პირს არ გაუცხადებია თანხმობა კონკრეტულად „აშოცკ-ნინოწმინდის“ ხაზის მშენებლობაზე.**

საბოლოოდ რა გამოვიდა? — „სემეკს“ ხაზის ქვესადგურ „ნინოწმინდასთან“ მიერთების ოფიციალური ნებართვა არ გაუცია, მაგრამ მიერთება მოხდა. ხაზი ბალანსზე არავის აულია, არც მისი საბალანსო ღირებულება დაუდგენია ვინმეს, მაგრამ დენის მიწოდება მაინც დაიწყო. რაც არ უნდა ერქვას ყველაფერ ამას — არაპროფესიონალიზმი, სამსახურებრივი გულგრილობა, ავანტიურა თუ დანაშაული, ფაქტია, რომ სახელმწიფო სტრუქტურების ყოვლად გაუმართლებელი, გაუაზრებელი და უპასუხისმგებლო ქმედებების გამო, „აშოცკ-ნინოწმინდის“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობით, მივიღეთ მკვეთრად უარყოფითი შედეგები, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

**„აშოცკ-ნინოწმინდის“ უკანონო არსებობასთან დაკავშირებით ჩვენ მივმართეთ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკოლოზ გილაურს. პასუხი მივიღეთ ძალზე მარტივი, რომ „აშოცკ-ნინოწმინდის“ კანონსაწინააღმდეგო ექსპლოატაციის პრობლემა სცილდება ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამოსილებას.**

აქედან გამომდინარე, ვსვამთ კითხვას: **რაში გამოიხატება ენერგეტიკის სამინისტროს მხრიდან სახელმწიფო პოლიტიკის გატარება საქართველოს ენერგეტიკაში? ჩვენი ინფორმაციით ენერგეტიკის სამინისტროს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ნიკოლოზ გილაურის სახით, პარლამენტის და ქვეყნის პრეზიდენტისგან ითხოვს სამეურნეო საქმიანობის უფლების მინიჭებას. ამავე დროს ცნობილია, რომ ეს სამინისტრო რეალურად ეწეოდა და დღესაც ეწევა აღნიშნულ საქმიანობას. პასუხი ერთმნიშვნელოვანია — ენერგეტიკის სამინისტრო და მისი მინისტრი ნიკოლოზ გილაური იხსნიან პასუხისმგებლობას „აშოცკ-ნინოწმინდის“ კანონსაწინააღმდეგო არსებობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, სულ ახლახან ბატონმა მინისტრმა დაასრულა მოლაპარაკებები სომხეთის მხარესთან ახალი, სასისტემო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის თაობაზე. ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ განა ეს საოცარი არ არის?**




## საქართველოს პარლამენტი

„აშოცკ-ნინოწმინდასთან“ დაკავშირებული პრობლემა საქართველოს წინა მოწვევის პარლამენტმა ვერ გადაწყვიტა, თუმცა მან შექმნა დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტარ ირაკლი ჩუბინიშვილის ხელმძღვანელობით (ამჟამინდელი საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში). კომისიამ შეისწავლა „აშოცკ-ნინოწმინდის“ მშენებლობის და მისი მწყობრში შეყვანის ისტორია, მოამზადა დასკვნა და გადაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. **რეალური შედეგი ამას არ მოჰყოლია. „აშოცკ-ნინოწმინდა“ დღემდე კანონსაწინააღმდეგო ექსპლუატაციაშია, არის არალეგალური, უპატრონო ხაზი...** რაც შეეხება ამჟამინდელ პარლამენტს, მას დღემდე არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხზე. რატომ? როგორც ჩანს, არ მიაჩნია, რომ აღიშნული პრობლემა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**მალხაზ ხოშტარია,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო — „დრო და სივრცე“.**

(გაგრძელება იქნება).

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 260.

⊙ ინფორმაცია

## მოსამართლეებმა ტესტირება გაიარეს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით ჩარატებული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ტესტირება სულ 129 იურისტმა გაიარა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ტესტირებაზე გასული 884 კანდიდატიდან, დადებითი შეფასება პირველ ეტაპზე 174-მა, ხოლო მეორე ეტაპზე - 129 კანდიდატმა მიიღო. გამოცდები სპეციალიზაციის მიხედვით — სისხლის, სამოქალაქო და საერთო სამართალში ჩატარდა. სისხლის სამართალში დადებითი შეფასება 76-მა, სამოქალაქოში 46-მა, ხოლო საერთო სამართალში 7-მა იურისტმა მიიღო.

საპრეტენზიო კომისიის დასკვნების შემდეგ შესაძლოა, გამოცდაგავლილ კანდიდატთა რიცხვი გაიზარდოს.

## „შადრევნული“ ბარბაროსობა

ბათუმის ბულვარში ორი თვის წინათ ამოქმედებული შადრევანი 8 ნოემბერს, ღამით გაძარცვეს.

მოპარულია 25 ლაზერული კომპაქტდისკი, რომლის გარეშეც შადრევანი ვერ იმუშავებს. მისი დამზადება მხოლოდ საფრანგეთშია შესაძლებელი. როგორც ბულვარის ადმინისტრაცია აცხადებს, დისკებს სტრასბურგში შეუკვეთენ და ორი კვირის შემდეგ უკვე ბათუმში იქნება.

იმ ბოროტმოქმედთა ვინაობა, რომლებმაც „მომღერალი შადრევანი“ გაძარცვეს, ჯერჯერობით დაუდგენელია.

## ...არადა, თითოეულ ხეს უნდა ვუფრთხილდებოდეთ!

გარემოს დაცვის ინსპექციის სამეგრელო-ზემო სვანეთის ინსპექციის თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონში ხე-ტყის გადამამუშავებელი ათზე მეტი საამქრო დალუქეს. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომელმა ემირ გურჯიანმა განაცხადა, სახერხებს და ხის გადამამუშავებელ საამქროებს არ ჰქონდათ გარემოს დაცვის ინსპექციის ნებართვა და სამეწარმეო ლიცენზია. მისივე თქმით, დაკითხვაზე დაბარებული არიან საამქროს მფლობელები. აღმოჩენილია დიდი რაოდენობით უკანონო ხეტყე, რომელიც საზღვარგარეთ გასატანად იყო გამზადებული. მათ შორის არის ნეკერჩხლის და წაბლის ხის მასალები, რომელთა მოჭრა აკრძალულია.

გურჯიანის განცხადებით, მსგავსი რეიდები მომავალშიც გაგრძელდება და იგეგმება როგორც სამეგრელოს, ასევე სვანეთის ტერიტორიაზე არსებული უკანონო საამქროების დალუქვა.

ინტერპრესნიუსი

⊙ მესამე სექტორი

# ჩვენს ჯარს თურმე ფსიქოლოგებიღა აკლია

***ჩვენი** ხელისუფლება არმიის გასაძლიერებლად იღვწის. პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი ჯარისკაცების გასამხნევებლად მათთან ერთად კილომეტრებსაც კი გარბიან. რა მდგომარეობაა რეალურად ქართულ ჯარში, რაში იხარჯება მილიონები და ვის ანიჭებენ უპირატესობას ნატოს ჯარებში? ამ და სხვა საკითხებზე ჯარისკაცთა უფლებების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარეს ნოდარ ეფრემიძეს გავესაუბრეთ.*

**— ბატონო ნოდარ, დღეს ჩვენი ხელისუფლება მუშაობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ჯარის გაძლიერებას ასახელებს, თუმცა უკვე გაუქმდა კადეტთა კორპუსი, საუბარია სამხედრო აკადემიის გაუქმებაზეც. როგორ შეაფასებდით მათ ამგვარ გადაწყვეტილებას?**

— ასეთი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. თუ ჩვენ მივდივართ იმ მიმართულებით, რომ გვქონდეს საყოველთაო სამხედრო სამსახური, რა თქმა უნდა, კადეტთა კორპუსი აუცილებელია. რაც შეეხება სამხედრო აკადემიას, ვფიქრობ, რომ ხელისუფლების ამგვარი ნაბიჯი შეცდომაა, რადგან ეს არის საბრძოლო ხელოვნებასთან დაკავშირებული სასწავლებელი და მისი გაუქმების შემთხვევაში, ერთწლიანი კურსების შედეგად კვალიფიციური ოფიცრების აღზრდა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება თუ იმის გამო მიიღო, რომ ჩვენ გადავდივართ პროფესიულ არმიაზე, მაშინ შესაძლებელია კადეტთა კორპუსის აუცილებლობა დღის წესრიგში აღარ იდგეს, მაგრამ სამხედრო აკადემია ყველა შემთხვევაში უნდა დარჩენილიყო. ხელისუფლების წარმომადგენლები აკადემიის გაუქმებაზე თავიანთ განცხადებებს ასე ხსნიან: ეს საბჭოური გადმონაშთია, რომელიც თურმე საზოგადოების მილიტარიზაციასთან ყოფილა დაკავშირებული. მიმაჩნია, რომ ეს ასე ნამდვილად არ არის, კვალიფიციური სპეციალისტები ამ სფეროში საჭიროა.

**— თუ ხელისუფლება სამხედრო სასწავლებლების აუცილებლობას ვერ ხედავს, სამაგიეროდ იცის, რომ ამ სფეროს განვითარებისთვის დიდძალი თანხა სჭირდება, თავდაცვის სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტი 120 მილიონი ლარით იზრდება, როგორ ფიქრობთ, რამდენად მიზანშეწონილია ჯარში ასე დიდძალი თანხის დაბანდება?**

— თუ ათვლის წერტილად რევოლუციამდელ პერიოდს ავიღებთ, რა თქმა უნდა, ბიუჯეტი ათჯერ გაიზარდა, მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით სამხედრო ძალებში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. ჩვენ, ფაქტობრივად, საბჭოთა არმიის ბაზაზე ავაშენეთ ქართული არმია, ყველაფერი გაპარტახებული იყო და არანაირი ბაზა არ არსებობდა. ყაზარმები სარემონტო იყო, ტექნიკური აღჭურვილობა სამხედრო ძალებს მწირი ჰქონდა და უხარისხო. ცხადია, ამ თვალსაზრისით ფინანსები აუცილებელია, მაგრამ აქ საკითხი სხვაგვარად დგას, — რამდენად გამჭვირვალედ ხარჯავს სამინისტრო თანხებს. ვფიქრობ, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, თუ რა მიმართულებით იხარჯება თანხები. გასაგებია, რომ არის საიდუმლო ხარჯები, რომლებიც საქართველოში სულ რამდენიმე ადამიანმა უნდა იცოდეს, ამაზე ნდობის ჯგუფი მუშაობს, მაგრამ დანარჩენი ფინანსური საკითხები გამჭვირვალე უნდა იყოს.

**— თანხებს სამხედრო ნაწილებზეც სხვადასხვაგვარად ხარჯავენ, ზოგ მათგანში საუკეთესო პირობებია, ზოგან კი ისევ სავალალო მდგომარეობაა. სად ხედავთ გამოსავალს?**

— არის ნაწილები, სადაც ნატოს სტანდარტებს მიახლოებული მდგომარეობაა, აქვთ ბრწყინვალე აღჭურვილობა, კარგი კვება, შესანიშნავი ხელფასი, უმრავლესობა ამ ადამიანებისა მოღვაწეობს საკონტრაქტო სისტემით, მათ ელიტარულ ნაწილებს უწოდებენ. სადღეისოდ ასეთი ხუთი ნაწილი გვაქვს, სადაც დაახლოებით 3000 სამხედრო მსახურობს. ამგვარი მიდგომა სწორია, რადგან ქართული არმია უნდა იყოს პროფესიული, ანუ საკონტრაქტო სისტემის. ურიცხვ არმიაზე უარი უნდა ვთქვათ, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს არ ამართლებს. სჯობს გყავდეს მცირე, მობილური, კარგად გაწვრთნილი ჯარი, ვიდრე დიდი, მაგრამ იმ მრავალი პრობლემით, რასაც დღეს ვაწყდებით. ცხადია, დიდი პატრიოტული მუხტია, როცა ხელისუფლების წარმომადგენელი გვეუბნება, რომ ყველა ადამიანი თავისი ქვეყნის სამსახურში უნდა იდგეს და ქვეყნის სასიკეთოდ რაღაცას აკეთებდეს. მე ვეთანხმები ყველას ამაში, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, ქვეყანამ წელიწადნახევრის განმავლობაში გაიღოს ამხელა ხარჯები, რათა ერთიანად ყველამ გაიაროს სამხედრო კურსები. წვევამდელთა დიდი ნაწილი დღეს ჯარში მიდის იმიტომ, რომ არ დაიჭირონ ან ვერ იხდის 200 ლარს. მით უმეტეს 2000 ლარს. მათ ხარჯზე შეიძლება პროფესიული არმია კიდევ უფრო გაძლიერდეს, გაიზრდება მათი მომზადების ხარისხიც.



**— ახლახან ერთ-ერთი ელიტარული ნაწილის 7 სამხედრო მოსამსახურეს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო ქუთაისის საოლქო სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სამი დღის შემდეგ კი ქუთაისის საოლქო პროკურატურის დადგენილებით მათ მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდა, როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს? რა მოხდა, ვითარება უცებ რად შეიცვალა?**

— ეს ფაქტი საზოგადოებისთვის მანიშნებელი იყო იმისა, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენ გვინდა. ვფიქრობ, უცნაურია სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ პროკურატურის ასეთი განცხადება. მე, როგორც სამხედროების უფლებების დამცველი, ცხადია, მათ მხარეს ვარ, მაგრამ თვითონ ფაქტი მეტყველებს სასამართლო ხელისუფლების ტენდენციურობაზე, ალბათ არის სატელეფონო ზარები, ზეწოლის ელემენტები და ა. შ. ეს არ უნდა მომხდარიყო. კარგია, რომ ბოლოს მიხვდნენ და სიტუაცია განმუხტეს.

**— პატარ-პატარა ინციდენტები ჯარის შიგნითაც ხდება. ხან ოფიცრები სცოდავენ, ხან თავად ჯარისკაცები. ამას როგორ მოევლება?**

— ნატოს ჯარებში დიდი ყურადღება ექცევა სამხედრო ფსიქოლოგებს. მოგეხსენებათ, ჯარი ცოცხალი ორგანიზმია, სადაც ადამიანებს შორის ურთიერთობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჯარში დღესაც არიან არაფორმალური ლიდერები, რომლებსაც არ გააჩნიათ სამხრეები, არ აქვთ წოდება, მაგრამ სიტუაციას მართავენ. ნატოს ჯარებში კი სამხედრო ფსიქოლოგები ასეთ ადამიანებთან მუშაობენ და ხდება ლიდერების გამოვლენა, მხოლოდ ამის შემდეგ ენიჭებათ სამხედრო წოდება, ანუ ბუნებრივი, პიროვნული თვისებები უკავშირდება სამხედრო წოდებას. ურთიერთობებიც გაცილებით დალაგებულია, ვიდრე ეს ქართულ ჯარში ხდება. თუ თავდაცვის სამინისტრო სამხედრო ფსიქოლოგებზე გააკეთებს აქცენტს სამხედრო მოსამსახურეების შერჩევის, მათი დაწინაურების პროცესში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ამ ეტაპზე სამხედრო ფსიქოლოგების ინსტიტუტი ჩვენთან არ მუშაობს. თუ ეს ინსტიტუტი ამუშავდება, ამგვარი პრობლემებიც ნაკლები იქნება.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი**

⊙ ინფორმაცია

## მერიას ამოწმებენ

თბილისის მერიას კონტროლის პალატა ამოწმებს. თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა განაცხადა, რომ მერიაში კონტროლის პალატა გეგმიურ შემოწმებას ატარებს, რომელიც წელიწადში ერთხელ ყველა სამსახურში ტარდება. მისი თქმით, კონტროლის პალატა ქალაქის მერიაში შეამოწმებს როგორც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, ასევე ცალკეული საქალაქო სამსახურების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვითაც დაინტერესდება. პრემიერი არ ფლობს ინფორმაციას, რომელი საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო სახსრებს შეისწავლის კონტროლის პალატა.

## მემარჯვენეები პრეზიდენტს მოუწოდებენ

საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე საქართველოს პრეზიდენტს უაპელაციო და ემოციური განცხადებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს. განცხადება ფიქრია ჩიხრაძემ გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმ განცხადების საპასუხოდ გააკეთა, რომლითაც პრეზიდენტმა ქუთაისში სამართალდამცავებს მიმართა. ჩიხრაძის თქმით, შს სამინისტროს მაღალჩინოსნები მიუთითებენ თავიანთ ქვეშევრდომებს, რომ კრიმინალებთან ურთიერთობაში რადიკალურები იყვნენ და მათი პირდაპირი ლიკვიდაცია მოახდინონ იმ მოტივაციით, რომ საქართველოში ციხეები გადატვირთულია და პატიმრები საკნებში ველარ ეტევიან.

ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, „მემარჯვენე ოპოზიცია“ სწორედ შს სამინისტროს მაღალჩინოსნების აღნიშნულ განცხადებებზე აპირებდა რეაგირების გაკეთებას, თუმცა გუშინ ამგვარივე შინაარსის განცხადება საქართველოს პრეზიდენტმაც გაიმეორა. — რა კრიმინალიც არ უნდა იყოს, არავის აქვს უფლება მისი სიკვდილით დასჯისა. ჩვენ რამდენიმე ხნის წინათ გავაუქმეთ სიკვდილით დასჯა, რითაც ვამაყობდით. დღეს კი სამართალდამცავები სასამართლომდე ახორციელებენ გარკვეული პირების სიკვდილით დასჯას, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, საქართველოსთვის კი ერთ-ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

იგი საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, უაპელაციო განცხადებების გაკეთებისგან თავი შეიკავოს, რადგან საქართველოს პრეზიდენტის განცხადებები „უკვე არის ტონის მიმცემი მისი ქვეშერდომებისათვის“. „მემარჯვენე ოპოზიცია“ ვარაუდობს, რომ სწორედ შს სამინისტროს მაღალჩინოსნების ამგვარი მითითებების გამოა, რომ ბოლო პერიოდში სპეცოპერაციებს დროს საკმაოდ დიდი მსხვერპლია.

## საგადასახადო „თავის ქუდაზე დადის“

ფიზიკური პირების მიერ უძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებულ შემოსავალს სოციალური გადასახადით საგადასახადო ინსპექცია უკანონოდ ბეგრავს. გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „მემარჯვენე ოპოზიციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, 2005 წლის 1 იანვარს ამოქმედებული საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი მუხლი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც საგადასახადო ინსპექციას ფიზიკური პირების მიერ ქონების გაქირავების, ან იჯარით გაცემის შემთხვევაში მიღებული შემოსავლების სოციალური გადასახადით დაბეგვრა უკანონოდ, სხვადასხვა მიდგომებით ხორციელდება. "საგადასახადო ინსპექცია კანონის ინტერპრეტაციას ახორციელებს, ამიტომ აუცილებელია საგადასახადო კოდექსში შესაბამისი მუხლი დაზუსტდეს", — განაცხადა ტყემალაძემ.

პარლამენტარმა გუშინ პლენარულ სხდომაზე საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი წარმოადგინა, სადაც ამ ხარვეზის დაზუსტებაა გათვალისწინებული. კერძოდ, კანონის მიღების შემთხვევაში სოციალური გადასახადით არ დაიბეგრება ის თანხა, რომელიც უძრავი ქონების გაქირავებიდან, ან იჯარით გაცემიდან არის მიღებული.

ფიზიკური პირები ამ მიმართულებით მხოლოდ 12-პროცენტიან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან. აღნიშნული კანონპროექტი დღეს პარლამენტის პლენარულმა სხდომამ პირველი მოსმენით მიიღო. თუმცა, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით მთავრობას საკუთარი შენიშვნები გააჩნია, ამიტომ კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას კომიტეტი ეცდება პარლამენტარ ზურაბ ტყემალაძისა და მთავრობის პოზიციები შეაჯეროს.

## რუსეთი იმიგრაციული ამნისტიის გამოცხადებას გეგმავს

2006 წელს რუსეთის ხელისუფლება ქვეყანაში მცხოვრები 1 მილიონი არალეგალური მიგრანტის ამნისტირებას აპირებს.

ამნისტია რუსეთში არალეგალურად მცხოვრებ დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეებს შეეხებათ. სხვადასხვა მონაცემებით, დღეისთვის რუსეთის ფედერაციაში არალეგალურად დსთ-ს ქვეყნებდან 7-14 მილიონი ადამიანი მუშაობს. რუსეთის ფედერალური სამიგრაციო სამსახურის საგარეო-შრომითი მიგრაციის სამმართველოს უფროს ვიაჩესლავ პოსტავნინის განცხადებით, ხელისუფლება 2006 წლიდან არალეგალურ მიგრანტთა ამნისტირებას დაიწყებს.

2006 წელს ამნისტია რუსეთის 8 რეგიონში განხორციელდება და დაახლოებით 1 მილიონ მოქალაქეს შეეხება. მისივე განმარტებით, მიგრანტთა ლეგალიზაციით ხელისუფლება მათ საშუალებას აძლევს „არ დაადგნენ კრიმინალის გზას, არ გაუჩნდეთ არეულობებში მონაწილეობის სურვილი და მეტად იყვნენ დაცული“. ვიაჩესლავ პოსტავნინის განცხადებით, ხელისუფლებას მიგრანტთა ლეგალიზაცია „უფრო ნაკლები დაუჯდება, ვიდრე მათი რუსეთიდან სამშობლოში ძალადობრივი დეპორტაცია“. მისივე თქმით, ლეგალიზებულ მიგრანტებს სამედიცინო დახმარებისა და ბავშვებისთვის განათლების მიცემის უფლება მიეცემათ.

რუსეთის ფედერალური სამიგრაციო სამსახურის საგარეო შრომითი მიგრაციის სამმართველოს უფროსის ვიაჩესლავ პოსტავნინის ინფორმაციით, დღეისთვის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან რუსეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეობის არმქონე 5 მილიონამდე პირი იმყოფება.

ინტერპრესნიუსი

პოლიცია

# საქმე უკეთესობისკენ მიდის

## გვესაუბრება სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი მერაბ გერგაია

**— ბატონო მერაბ, როგორია რეგიონში სადღეისოდ კრიმინოგენური ვითარება? რა პროფილაქტიკური ღონისძიებები ხორციელდება დანაშაულობათა აღსაკვეთად?**

— სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის შემდეგელი ნაწილია და 70 კილომეტრით ესაზღვრება გალის რაიონს, კრიმინოგენური ვითარება მართლაც და სტაბილური გახდა.

წლევანდელი სტატისტიკური მაჩვენებლები, რომელიც წინა წლებისაგან განსხვავებით რეალურად ასახავს არსებულ ოპერატიულ ვითარებას, გამორჩეულია სხვა რამითაც: მასში ასახულია ის დადებითი ტენდენციები, რისი მიღწევაც შესაძლებელი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში განხორციელებული მრავალსაფეხურიანი რეფორმებით, კერძოდ, სისტემის რეორგანიზაციით, სტრუქტურის დახვეწითა და კადრების ოპტიმიზაციით.



წლეულს დაკავებულია 66 ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება, 157 პირის შემადგენლობით, სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულობათა ჩადენის ფაქტზე აყვანილია 482 პირი, მათ შორის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა 233-ს.

**— როგორ მიმდინარეობს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა, ამ საქმეში სახელმწიფო პროგრამის რეალიზება? სადღეისოდ ეს მეტად მტკივნეული საკითხია...**

— ნარკომანია მკვეთრად აუარესებს ოპერატიულ ვითარებას, იგი კრიმინოგენურ ფაქტორად გადაიქცა, ფართოვდება ნარკობიზნესი და ნარკოტიკების შემოზიდვის გზები, საგრძნობლად გაახალგაზრდავდა მომხმარებელთა საერთო რაოდენობა, ამიტომ აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის რეგიონალურ სამსახურთან. მართალია, ეს სფერო ფუნქციონალურად ჩვენს კომპეტენციას არ განეკუთვნება, მაგრამ ჩვენი ძალისხმევით წლეულს ნარკოტიკების უკანონო რეალიზაცია-მოხმარების ფაქტზე აღიძრა 47 სისხლის სამართლის საქმე, გარდა ამისა, ნარკოლოგიური დისპანსერის რეკომენდაციით დანაშაულის პრევენციის ადგილობრივ რგოლებთან ერთად ჩავატარეთ ანტინარკომანიისადმი მიძღვნილი ფართომასშტაბიანი აქციები სენაკსა და ზუგდიდში, დევიზით: „მომავალი — ნარკოტიკების გარეშე“, „კმარა მარიხუანა!“, „კმარა არაჯანსაღი ცხოვრება!“...

ღონისძიებები იმდენად ემოციური და შინაარსობრივად დატვირთული აღმოჩნდა, რომ საზოგადოების გამოხმაურების გათვალისწინებით, მისი ჩატარება განზრახული გვაქვს ხობსა და ფოთშიც, მოგვიანებით კი — სხვა რაიონებშიც.

**— რა მდგომარეობაა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოვლენა-აღკვეთის მხრივ? დასამალი არაა, რომ დანაშაული „ახალგაზრდავდება“...**

— არასრულწლოვანებს შორის დანაშაულის აღკვეთა-აცილება დღემდე დაუძლეველ პრობლემად რჩება, იმის მიუხედავად, რომ მოუსაფარ ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოვაშორეთ ქუჩას და, შესაბამისად, დამნაშავეთა სამყაროს. შევძელით მოუსაფარ, არაკეთილსაიმედო ოჯახებში მცხოვრებ, აგრეთვე სკოლიდან განთესილ და ძნელადაღსაზრდელ არასრულწლოვანთა შესახებ შეგვექმნა მონაცემთა სრულყოფილი ბაზა, ე. წ. „საინფორმაციო ბანკი“, დანაშაულის პრევენციის კომიტეტების მეშვეობით დავიწყეთ საზოგადოების ფართო ფენების ჩართვა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის რეალიზაციის საქმეში.

ჩვენი მიზანია ვებრძოლოთ არა შედეგებს, არამედ მის გამომწვევ მიზეზებს. ამიტომაც დავიწყეთ საკადრო ცვლილებები არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში. ამ დანაყოფში მომუშავე თანამშრომლები უნდა აზროვნებდნენ ახლებური სტადარტებით, ცხოვრებისეული რეალიებით. ამას შედეგები მოაქვს.

**— რა მდგომარეობაა რეგიონში გავრცელებული პირუტყვის ქურდობის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის თვალსაზრისით? ხალხი საქონლით სულდგმულობს...**

— ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლაც გახდა, ცალკეულ რაიონებში, განსაკუთრებით აბაშაში, ხალხი გვარიანად დაზარალდა. პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნა და მოსახლეობის დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში გაიხსნა პოლიციის ქვეგანყოფილება, პირადი შემადგენლობა აღიჭურვა სათანადო ეკიპირებით, უზრუნველყოფილია ტრანსპორტით, საწვავითა და კავშირის საშუალებებით, ოპერატიულ-სამძებრო და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მიეცა არა ეპიზოდური, არამედ სისტემური ხასიათი, დადგენილი და დაკავებულია ამ სახის დანაშაულზე ორიენტირებული ისეთი დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ არა მხოლოდ სამეგრელოში, არამედ ქვეყნის სხვა რეგიონებშიც...

**— როგორც სხვაგან, ისე თქვენს რეგიონშიც შეიქმნა საპატრულო პოლიცია. როგორია ამ ახალი სამსახურის საქმიანობის პირველი შედეგები?**

— საპატრულო პოლიციამ, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, მოსახლეობის ნდობა უკვე მოიპოვა, დროის უმოკლეს პერიოდში პოლიციის იმიჯი უკეთესობისაკენ რეალურად შეიცვალა.

**— თუ გეხმარებიან რაიონებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოები?**

— მხარის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა მისაღები ფორმით ვითარდება. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და პირადი შემადგენლობის მორალურ მხარდაჭერას, ხოლო დანაშაულის პრევენციის რაიონული კომიტეტების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებით, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებულნი არიან ხელოვნების, კულტურის, მედიცინის, განათლების, სამღვდელოების, ბიზნესის, არასამთავრობო სექტორის თვალსაჩინო წარმომადგენლები და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, ვცდილობთ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესების დაჩქარებას, რეგიონში სიმშვიდის დამკვიდრებას.

**ესაუბრა
იოსებ გოზეჩია,
„სრ“ საკ. კორ.**

სხვა გაზეთებიდან

# „ბრიტიშ პეტროლეუმი“ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებზე?

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მოწინააღმდეგეები სოციალური და ეკოლოგიური პრეტენზიებიდან ახლა პოლიტიკურზე გადავიდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ გააკეთა განცხადება, რომლის ავტორებიც „ბრიტიშ პეტროლეუმის“ კომპანიას და უშუალოდ ნავთობსადენს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ გამო აზერბაიჯანში იმართება არადემოკრატიული არჩევნები. ასეთი განცხადება გააკეთა „ეხოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში სამოქალაქო ინიციატივათა ცენტრის ხელმძღვანელმა მაის გიულალიევმა.**



გასული კვირის დამლევს, თქვა გიულალიევმა, მისმა ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება, რომელშიც გამოთქვა ეჭვი 2005 წლის არჩევნების „გამჭვირვალეობის“ და დემოკრატიულობის თაობაზე. ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, ეს აძლევს ხელს იმ სხვადასხვა ტრანსეროვნულ კორპორაციას, რომლებსაც არ სურთ, რომ აზერბაიჯანი ძლიერი სახელმწიფო იყოს.

სამოქალაქო ინიციატივათა ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, მსხვილი კომპანიები ეცდებიან, რომ არჩევნების შედეგები ყველამ აღიაროს. თანაც, მიაჩნია მას, ამით ყველაზე მეტად დაინტერესებულია ბრიტანეთის ნავთობის კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმი“. კომპანიის მესვეურებს სურთ, რომ აზერბაიჯანს ჰყავდეს „მართვადი პარლამენტი“, და ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშით, ემსახურებოდეს „ბრიტიშ პეტროლეუმის“ ინტერესებს, მიაჩნია გიულალიევს.

„ჩვენ არაერთგზის გვითქვამს, რომ ამ მილსადენის მშენებლობა და ნავთობის დიდი პროექტის განხორციელება დაამუხრუჭებს აზერბაიჯანში დემოკრატიის განვითარებას, — აღნიშნა მან. — სამოქალაქო ინიციატივათა ცენტრი ყოველთვის აცხადებდა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ჩვენთვის დამღუპველ პოლიტიკურ შედეგებს მოიტანდა“.

თავის მხრივ, მმართველი პარტიის „ენი აზერბაიჯანის“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა აიდინ მირზაზადემ აღნიშნა: „არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამდენს ლაპარაკობს ეკოლოგიაზე, მოულოდნელად ცდილობს მისცეს შეფასება ამა თუ იმ პოლიტიკურ პროცესს“. მირზაზადეს ძალზე უცნაურად მიაჩნია მავანთა მცდელობა, ერთმანეთს დაუკავშირონ არჩევნები და ძირითადი საექსპორტო მილსადენის ფუნქციონირება. „ის, რომ არჩეული პარლამენტი იქნება პროფესიული და შეიმუშავებს კარგ კანონპროექტებს, ეჭვს არ იწვევს, — მიაჩნია მირზაზადეს. — ამიტომ, მესამე სექტორის აქტივისტის მოსაზრება, მეტი რომ არ ვთქვათ, მხოლოდ დილეტანტის მიერ გაკეთებული განცხადებაა. ვერავინ იტყვის, თითქოს „ბრიტიშ პეტროლეუმი“ ჩაბმული იყოს პოლიტიკურ პროცესებში და ერეოდეს მთავრობის მუშაობაში“, — მიაჩნია „ენი აზერბაიჯანის“ წარმომადგენელს.

**ს. რზაევი,
„ეხო“ (აზერბაიჯანი),
8 ნოემბერი.**

ინფორმაცია

## დევნილებმა სათანადო საბუთები უნდა წარადგინონ

**გლდანი-ნაძალადევის** რაიონში, უშიშროების აკადემიის კუთვნილ შენობაში შეჭრილ დევნილებს შენობა დაატოვებინეს. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა განაცხადა, რომ 22-მა ოჯახმა, რომელიც უშიშროების აკადამიის შენობაში შეიჭრა, დაკავებული ფართი მოლაპარაკების საფუძველზე დატოვა. ხაჩირაშვილის თქმით, დევნილებმა გამგეობაში ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ, რომელიც მათ სტატუსს და ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს. მისივე განცხადებით, საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ რაიონის გამგეობა მათთვის დროებითი საცხოვრებლის მოძიებაზე იზრუნებს.

## როდის მოეღება ბოლო ამ ჯოჯოხეთს?

**ქართულ-ოსური** კონფლიქტის ზონაში მორიგი გატაცება მოხდა. წუხელ გაიტაცეს ქარელის რაიონის სოფლების კოდასა და ბრეძას რვა მაცხოვრებელი, რომლებიც ტყეში შეშას ჭრიდნენ. სავარაუდოდ, ასევე გატაცებულია მცირეწლოვანი ვაჟი, რომელიც შეშის მჭრელებს თან ახლდა და ამ დრომდე არ გამოჩენილა. გატაცებულია მათი კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა და ტრაქტორი. გამტაცებელთა ვინაობა დაზუსტებული არ არის, თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ სატვირთო ავტომანქანა ზნაურის პოლიციის შენობასთან მიიყვანეს. გატაცებულები, სავარაუდოდ, ცხინვალში იმყოფებიან.

გატაცებულები არიან: ჯონდო და ბონდო კობახიძეები, მილერი და როინ მჭედლიძეები, იური კვინიკაძე და სოფელ ბრეძას მკვიდრი ალექსი თიბილაშვილი. სავარაუდოდ, სწორედ მისი ვაჟია გატაცებული.

## სასამართლო დავა არ იქნება

**ს/ს „მადნეულის“** პრივატიზაციის ტენდერში დამარცხებული ქართული კომპანია „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი“ სასამართლოში ჩივილს აღარ გეგმავს. ეს გადაწყვეტილება კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს. გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ქართული კომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ფონდის წარმომადგენელმა ფლორან კრისტოლმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო და „მადნეულის“ პრივატიზაციაში გამარჯვებულ კომპანიად მისი კონკურენტები დაასახელა, კომპანია სასამართლოში მაინც არ უჩივლებს. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ „მადნეულის“ პრივატიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება კონკრეტულად სამინისტრომ მიიღო და არა საქართველოს მთავრობამ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთავრობა მაქსიმუმს აკეთებს, რომ საქართველოში ნორმალური ბიზნეს-გარემო შეიქმნას. ვაპირებთ მომავალში სხვა პროექტებში მივიღოთ მონაწილეობა და ინვესტიციები დავაბანდოთ“, — განაცხადა კრისტოლმა.

აღსანიშნავია, რომ ქართული კომპანია „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ მფლობელობაში უკვე არის რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, სადაც უახლოეს მომავალში მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ს/ს „მადნეულის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის (97,25%) და შპს „ტრანს ჯორჯიან რესურსის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის (50%) გაყიდვის მიზნით კონკურსი მიმდინარე წლის 21 სექტემბერს გამოაცხადა. „მადნეულით“ ორი კომპანია - ქართული შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი“ და ბრიტანული „სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი“ დაინტერესდა. სამინისტრომ გამარჯვებულად ბრიტანული კომპანია დაასახელა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში 51 მილიონი დოლარის გადახდას გეგმავს.

## საერთაშორისო ექსპერტს ვეტერინარები ეწვევიან მოუსმენენ

**სოფლის** მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი თბილისში თურქულის დაავადებაზე ვეტერინარებისათვის სემინარებს ატარებს. ვეტერინარიის დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ამ მიზნით თბილისში ექსპერტი ანდრეა როზსტალნი იმყოფება. იგი ქართველ სპეციალისტებს თურქულის დაავადების გამოვლენისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს ერთი კვირის განმავლობაში გააცნობს. მომავალ კვირაში კი უცხოელი ექსპერტის სემინარებისათვის თბილისში სომეხი და აზერბაიჯანელი ვეტერინარებიც ჩამოვლენ.

## ფაშიზმის წინააღმდეგ

**ანტისემიტიზმისა** და ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გუშინ ვაკის პარკთან ორგანიზაციის „საქართველოს იურისტები საზღვრების გარეშე“ ხელმძღვანელობით აქცია გაიმართება. ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ აქციის მიზანია ფაშიზმის, რასიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მიმართულ მსოფლიო კამპანიაში ჩართვა.

აქციის ფარგლებში ვაკის პარკის შესასვლელთან ქვის ფილები მოიხატა, თსუ-ს პირველ კორპუსამდე მშვიდობიანი მსვლელობა მოეწყო, რომლის დროსაც მოქალაქეებს ფაშიზმის, რასიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მიმართული პოსტერები დაურიგდათ.

## ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის პატივისცემის ნიშნად

**ქართული** ფულის ნიშანზე შესაძლოა ქაქუჩა ჩოლოყაშვილის პორტრეტი გამოისახოს.

საქართველოს ეროვნულ ბანკში განაცხადეს, რომ ქართული ფულის ნიშანზე ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პორტრეტის სავარაუდო გამოსახვის საკითხზე საქართველოს ეროვნულ ბანკში შექმნილი სპეციალური კომისია ამ დღეებში იმსჯელებს.

21-22 ნოემბერს საფრანგეთის ლევილის ქართული მამულიდან საქართველოს ეროვნული გმირისა და საზოგადო მოღვაწის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენება და მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დასვენება იგეგმება. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის ნიშნების დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვის კომისია ამ ფაქტს უკავშირებს ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პორტრეტით ქართული ფულის ნიშნის სავარაუდო გამოშვების საკითხს, რომელსაც უახლოეს დღეებში განიხილავს.

ინტერპრესნიუსი

ფინანსური პოლიცია

# უაქციზო სიგარეტის „ნაკვამლევზე“

### რა უნდოდათ რევიზორებს?

**საგადასახადო დეპარტამენტის ბათუმის საგადასახადო ინსპექციის რევიზორებმა ავთანდილ კახაძემ და ლევან აბუსერიძემ 2005 წლის 13-დან 22 ივნისამდე პერიოდში შპს „მეგაში“ გეგმური რევიზია ჩაატარეს, რა დროსაც საზოგადოებაში საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა დაადგინეს, თუმცა საქართველოს საგადასახდო კოდექსით გათვალისწინებული სანქცია — დაჯარიმება არ გამოიყენეს.** ამის შედეგად სახელმწიფო ინტერესები დაირღვა. ამჟამად „მეგაში“ მიმდინარეობს რევიზია, რომელიც ზარალის ოდენობას დაადგენს. ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა ორივე რევიზორი დააკავეს, მიმდინარეობს გამოძიება.

### ძეხვი მართლა ვადაგასული იყო, „პოპული“?

**ცოტა ხნის წინათ დაწყებული წინასწარი გამოძიების შედეგად, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარმა სამმართველომ „პოპულის“ მაღაზიების ქსელი დალუქა. გამოძიება სამი მეწარმე სუბიექტის**



**მიმართ წარმოებს, რომელთა საკუთრებაში „პოპულის“ სახელწოდებით 13 მაღაზიაა. ესენი არიან ინდმეწარმე ირაკლი ცანავა, შპს „ა-15“ და სს „პოპული“.**

კანონმდებლობის თანახმად, სავაჭრო ობიექტში ყოველდღიურად უნდა დგებოდეს საბუღალტრო ნაშთის აღრიცხვა, რათა გაირკვეს, თუ რა პროდუქცია და რა ოდენობით დარჩა გასაყიდი, ხოლო შემდეგ ეს მონაცემები საბუთებს უნდა შედარდეს. როგორც გაირკვა, „პოპულის“ მაღაზიებში ასეთ საბუღალტრო ნაშთის აღრიცხვას საერთოდ არ აწარმოებდნენ. ფინანსურმა პოლიციამ ამოიღო მაღაზიების დოკუმენტაცია და კომპიუტერები. ამჟამად „პოპულის“ მაღაზიებში არსებული პროდუქციიდან ამოღებულია და სპეციალურ მაცივარში ინახება ძეხვეული. ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა ეჭვი იმან გამოიწვია, რომ ძეხვეულის ნაწილს ვარგისიანობის ვადა გადაშლილი ჰქონდა, ნაწილსაც — გადასწორებული. გამოძიებამ პროდუქტის ექსპერტიზა დანიშნა. მაღაზიების შემოწმება კვლავაც გრძელდება და, როგორც ფინანსურ პოლიციაში ვარაუდობენ, იქ გადასახადების დამალვის ფაქტებიც უნდა გამოვლინდეს.

რაც შეეხება მაღაზიების საქმიანობის აღდგენას, ეს თავად „პოპულის“ ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული. „მათ საბუთები წესრიგში რომ ჰქონოდათ, მაღაზიები არ დაილუქებოდა და ჩვენ მუშაობაში ხელს არ შევუშლიდით“, — განაცხადა საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ კარლო დოლიძემ.

### სად წავიდა „ფონდის“ ფული?

**ადიგენის რაიონის სოფელ ვარხარის საშუალო სკოლის ხელმძღვანელზე ეჭვია, რომ მან ფული მიითვისა.** სკოლის დირექტორის მზია ხაჩიძის მოქმედებით ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს თანამშრომელთა დაინტერესების საფუძველი ადიგენის განათლების განყოფილების ხელმძღვანელის მიერ შეტანილი განცხადება გახდა, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ მ. ხაჩიძე მოსწავლეებისგან ე. წ. „ფონდის ფულს“ კრეფდა, თანხას კი „არამიზნობრივად“ ხარჯავდა...

მიმდინარეობს გამოძიება.

### „ლაო, ლა ქნა დილექტოლმა?“

**„ლაო-ჩაის“ კომბინატის“ მუშათა კოლექტიური განცხადების საფუძველზე ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ კომბინატის დირექტორის აბესალომ ოკუჯავას მიმართ გამოძიება დაიწყო.** მან საწარმოს კუთვნილი ქონება, მანქანა-დანადგარები და შენობა-ნაგებობები უკანონოდ გაასხვისა. ა. ოკუჯავა სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული.





### ვისია, ვისია-ა...

**ზუგდიდის ბაზარში იმ დღეს ისევ აყალმაყალი იყო, რადგან საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელოს სამმართველომ, უაქციზო სიგარეტის გამოსავლენად, მიულოდნელი რეიდი მოაწყო.** ალბათ, არავის გაკვირვებია, რომ წინასწარი ინფორმაცია დადასტურდა და პოლიციელებმა კვლავაც უამრავი უაქციზო სიგარეტი ჩამოართვეს მოვაჭრეებს, რის გამოც მათ ერთი ამბავი ატეხეს და საქონლის უკან დაბრუნებას ითხოვდნენ. საბოლოოდ, რეიდის დროს ჩამორთმეული სიგარეტის გატანა მხოლოდ სპეცრაზმის ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

**ფინანსური პოლიცია აფრთხილებს უკანონო პროდუქციის მოვაჭრეებს, რომ მსგავსი შემოწმებები ზუგდიდის ბაზარში კვლავაც გაგრძელდება.**

შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა კი რაჟდენ დურგლიშვილი და ზეინაბ გველესიანი დააკავეს და 1440 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ჩამოართვეს; ზაზა ჯიჯელავასა და დავით ბეჟღულაშვილს 5 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩნდათ;

2300 კოლოფ უაქციზო სიგარეტს ინახავდა შორენა გოძიაშვილი, მაგრამ, რაც ყველაზე მეტადაა საგულისხმო, პოლიციელებმა 35 ათასი (!) კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღეს, თუმცა მის პატრონს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

**ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**

პერსპექტივა

# თუ თესლი მართლაც მოსავლის დედაა, მაშინ...

**რასაც დასთეს, იმას მოიმკიო, ნათქვამია. დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ მეთესლეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშველოვანი დარგია. ექსპერტების ვარაუდით, საქართველო, შესაძლებელია ამ მხრივ ექსპორტიორი ქვეყანაც კი გახდეს, რისთვისაც მას თითქმის ყველა პირობა აქვს.**

**ეს სამომავლოდ, მაგრამ ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ქვეყნისათვის საჭირო რაოდენობის თესლით მომარაგება სახელმწიფოს მის ხელთ არსებული ბერკეტებით უკვე აღარ შეუძლია და ამიტომაც აუცილებელია, რომ ეს დარგი მთლიანად კერძო სტრუქტურის ხელში გადავიდეს.**

**გვესაუბრება სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მირიან დეკანოიძე.**

— **მეთესლეობის** განვითარების პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა, ითვალისწინებს სათესლე მასალის მარაგის შექმნას ისეთი კულტურებისთვის, როგორიცაა სიმინდი, ხორბალი, ბოსტნეული და მრავალწლიანი ბალახები. მას განახორციელებს მთლიანად კერძო სტრუქტურა, ოღონდ ტენდერის მეშვეობით. ამისათვის ბიუჯეტი 5 მილიონ 555 ათას ლარს გაიღებს.

პროექტი დღეისათვის მოწონებულია, ამჟამად ყალიბდება საკონკურსო პირობები.

**— ბატონო მირიან, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის მეშვეობით გამოვლენილი კონკურსანტი?**

— ეს არ იქნება ერთი პიროვნება, ან ერთი კომპანია, სავარაუდოდ ალბათ რამდენიმე სუბიექტი იქნება, დაახლოებით 5-6, მთავარია სათესლე მასალის წარმომდგენი ფერმერის, გლეხის ინტერესებს ითვალისწინებდეს.

ჩვენი აზრით, ეს იქნება ფერმერი, რომელიც თავის მუშაობაში მეთესლეობაში დასაქმებულ მეცნიერებს და რაც მთავარია, სელექციონერებს ჩართავს, განაახლებს ტექნიკას. უნდა ითქვას, რომ მოძველებული ტექნიკა ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს. საჭიროა, სასელექციო კომბაინის, თესლის დამხარისხებელი მანქანის შეძენა, ინფრასტრუქტურისა და აგრეთვე მრავალი სხვა კომპონენტის შეცვლა.

**— ანალოგიური პროექტი სხვა წლებშიც განხორციელდება, თუ იგი ერთჯერადი იქნება?**

— ეს იქნება სახელმწიფოს მიერ ფერმერებისადმი და საერთოდ სათესლე მასალით დაინტერესებულ პირთათვის მხოლოდ ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რომელიც 2005-2007 წლებში უნდა განხორციელდეს.

მეთესლეობაში, მოგეხსენებათ, მეტად მნიშვნელოვანია ელიტური თესლის მოპოვება და აგროვადების ზუსტი დაცვა.

როგორც ვთქვი, პროექტზე მუშაობა ძირითადად დამთავრებულია, მთავრობის უახლოეს სხდომაზე კონკურსის პირობების დამტკიცების შემდეგ, ტენდერიც გაიმართება. ვვარაუდობთ, რომ გაზაფხულზე პროექტი მთლიანად ამუშავდება. კონკურსში, სავარაუდოდ, ძირითადად ხორბლის მწარმოებელი რაიონებიდან მიიღებენ



მონაწილეობას. გამარჯვებულებს მიეცემათ თანხები ტექნიკისა და სათანადო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

**— გლეხს თუ შეუძლია კონკურსში მონაწილეობა?**

— შეძლებით როგორ არა, მაგრამ ვერ გაიმარჯვებს, რადგან მცირე ფართობზე ეს პროექტი ვერ განხორციელდება. პროექტის სრული ციკლის გასავლელად საჭიროა კონკურსის მონაწილეს მიწის საკმაოდ დიდი ფართობი ჰქონდეს, რადგან ჯიშთა მონაცვლეობისთვის აუცილებელი პირობაა სწორედ ფართობი, ამასთან აუცილებელია აგროწესების ზუსტი დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კონდიციურ თესლს ვერ მივიღებთ.

სამინისტროს მიზანია ქვეყანას ჰქონდეს საკმარისი საკუთარი სათესლე მასალა და მის შესაძენად სხვა ქვეყნებში სიარული არ გვჭირდებოდეს. ეს, ჩემი აზრით, უბრალო საქმე არ არის.

სახელმწიფო შეეცდება, თითოეული გაცემული თეთრი გააკონტროლოს, რათა იგი ზედმიწევნით მიზანმიმართულად დაიხარჯოს.

ჩვენ ჯიშთა გამოცდისთვის თესლს ჩამოვიტანთ ამერიკიდან, მექსიკიდან, სხვა ქვეყნებიდანაც. რა თქმა უნდა, ქართული ჯიშებიც ჩაერთვებიან ამ პროცესში. მთავარია, ისე არ გამოგვივიდეს, რომ შემოტანილმა ჯიშებმა ქართულ ჯიშებს შეუშალოს ხელი. ქართული ხორბალი შეიძლება საწარმოო დანიშნულებით ვერ გამოვიყენოთ, მაგრამ მისი დაავადებისადმი გამძლეობა და გემოვანება საქვეყნოდ ცნობილია. ქართული ხორბლის ჯიშები ხომ მსოფლიოში უნიკალურია, ენდემური ჯიშების 50-60 პროცენტის სამშობლოდ საქართველოა მიჩნეული.

**— ბატონო მირიან, თესლი მაინც თუ იქნება ჩვენი გლეხებისთვის ხელმისაწვდომი? მოგეხსენებათ, გლეხს როგორ უჭირს საწვავის შეძენა, არც წესიერი შხამქიმიკატების შოვნაა ადვილი. საერთოდ, გლეხს საბაზრო ეკონომიკა ყელში უჭერს, შეიძლება მას ამ პროექტით რაღაც იმედი მაინც დავუტოვოთ?**

— ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობთ, რომ მათ შორ მანძილზე არ მოუხდეთ სიარული და შეძენილი თესლი მაღალმოსავლიანი და ხარისხიანი იყოს. ამის გაკეთება არ არის იოლი საქმე. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ შეღავათები, ალბათ, იქნება. ისე კი არ ვიქნები მართალი, თუ არ ვიტყვი, რომ ხეირიანად აწყობილი მეთესლეობა ყველა ქვეყანაში ძვირადღირებული სიამოვნებაა.

ვფიქრობთ, საქართველო უახლოეს 3-4 წელიწადში სათესლე მასალის ექსპორტიორი ქვეყანა გახდება და, ამდენად, შემოსავალიც გაეზრდება.

**ნაზი იმნაიშვილი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# პრეზიდენტმა ყველა მინისტრის დაშინება ვერ შეძლო

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იდეამ, გაეხადა მთავრობის მუშაობა უფრო გამჭვირვალე რიგითი მოქალაქეებისთვის, მინისტრებისა კი — ხალხის შემოწმებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი, მორიგი საპნის ბუშტივით გასკდა. „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპონდენტმა 8 ნოემბერს კიდევ ერთხელ სცადა დაკავშირებოდა ტელეფონით ათამდე მინისტრს და თვით შედარებით უფრო მომცრო უწყებების ხელმძღვანელებსაც კი, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ — წარუმატებლად.**

როგორც თვალსაჩინოდ იყო, მობილური თუ საქალაქო ტელეფონის ზარებს გამოეხმაურნენ მხოლოდ სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავა და მისი კოლეგა კახა ბენდუქიძე, რომელსაც ასევე უკავია სახელმწიფო მინისტრის პოსტი სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმების საკითხებში. ეს იყო და ეს. მინისტრთა უმრავლესობა კი, ყურმილს იღებდა მათთან დაკავშირების მხოლოდ მეორე ან მესამე მცდელობის დროს. რაც შეეხება ქართველ ძალოვნებს, ისინი 8 ნოემბერს, თუმცა, ისევე როგორც სხვა დროს, ავტომოპასუხის თქმით, „გასული იყვნენ მომსახურების ზონიდან". თვით ჟურნალისტებისთვისაც კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, სპეცსამსახურების პირველ პირებთან გასაუბრება შესაძლებელია მხოლოდ კარგა ხნის წინათ შემუშავებული სქემის მიხედვით: ჯერ უნდა დარეკო პრესსამსახურში ან საზოგადოებრიობასთან კავშირურთიერთობის დეპარტამენტში, შემდეგ — აუცილებელია წერილობითი განაცხადი, მერე კი — როგორც გამოვა.

ამ თვალსაზრისით გაგვაოცა რესპუბლიკის დამოკიდებული რეგიონული პოლიტიკის სამსახურის უფროსმა ჯამბულ ბაკურაძემ. სახელმწიფო მოხელე, თავდაპირველად, არ გამოეხმაურა მისთვის უცნობი ნომრის ზარს, თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, თვითონ დარეკა: „ჩემს ტელეფონზე დაფიქსირდა თქვენი ნომერი, რაშია საქმე?" — შეშფოთებით იკითხა მან.

ხალხთან სახელმწიფო მოხელეების დაახლოების იდეა პრეზიდენტ სააკაშვილს გაუჩნდა საქართველოს მთავრობის ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ სხდომაზე. გააკრიტიკა რა მინისტრები, მორიგი „ხარვეზებისთვის", რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ასეთი დამუხრუჭების ძირითადი მიზეზი გახდა ის, რომ ხელისუფლებას გაწყვეტილი აქვს კავშირი მოსახლეობასთან. ამავე დროს, სააკაშვილმა შენიშნა, რომ თვითონაც დიდი გაჭირვებით მოახერხა ტელეფონით დაკავშირება ზოგიერთ თავის მინისტრთან თუ ხელქვეითთან. პრეზიდენტმა თქვა, რომ თვითონ დაურეკა სხვადასხვა მაღალი თანამდებობის მოხელეს მათთვის უცნობი ტელეფონებიდან. სახელმწიფოს მეთაურს პრეტენზიები არ გამოუთქვამს მხოლოდ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის და ზემოთ აღნიშნული კახა ბენდუქიძის მისამართით. „თქვენ ხართ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ქვეყნის სამინისტროების მინისტრები და არა რაღაც — იმპერატორები, ამიტომ, ხალხის გვერდით უნდა იმყოფებოდეთ", — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და გუბერნატორებსაც ურჩია, არ დაიმალონ კაბინეტებში, იარონ სოფელ-სოფელ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაუყოვნებლივ გადააყენებენ.

თბილისში, უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტის ამ წამოწყებას იმთავითვე საკმაოდ სკეპტიკურად მოეკიდნენ. პირველებმა რეაგირება მოახდინეს სააკაშვილის დიდი ხნის ოპონენტებმა — ლეიბორისტებმა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, პრეზიდენტის ინიციატივა „უბრალოდ, სასაცილოა". ნათელაშვილის თქმით, ამჟამინდელი, ეგრეთ წოდებული, რევოლუციური მთავრობა უკვე კარგა ხანია იმყოფება „ხალხისგან საპირისპირო ნაპირზე, ხიდი კი ჩანგრეულია". სკეპტიკურად მოეკიდა ასევე, პრეზიდენტის განკარგულებას მრავალი ადგილობრივი ექსპერტიც. კერძოდ, კავკასიის მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის ინსტიტუტის წამყვანმა ექსპერტმა პაატა ზაქარეიშვილმა პრეზიდენტის ასეთ გადაწყვეტილებას უწოდა „სააკაშვილის მორიგი პოპულისტური ნაბიჯი". „სულ მალე დადგება რევოლუციის წლისთავი. რა უნდა უთხრას მან ხალხს? ასეთი ნაბიჯით კი, პრეზიდენტი ხაზს უსვამს თავისებურ ერთობას ხალხთან: თუ ხალხი უკმაყოფილოა მთავრობით, მეც უკმაყოფილო ვარ — ისევე, როგორც რიგითი მოქალაქე, რადგან ვერ ვუკავშირდები ტელეფონით მინისტრს! მაგრამ ეს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული პრიმიტიული სვლა არის. მას, ალბათ, სურს დაარწმუნოს ქვეყნის რიგითი მოქალაქეები, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ორი წლის წინათ ჭეშმარიტი დემოკრატები მოვიდნენ", — თქვა პოლიტოლოგმა.

თვით სახელმწიფო მოხელეები კი გვირჩევენ, „უფრო გულდასმით გავეცნოთ პრეზიდენტის განკარგულების არსს. მაგალითად, კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ, რომელიც გამოეხმაურა პირველივე სატელეფონო ზარს, შენიშნა, რომ სახელმწიფოს მეთაურს არ უბრძანებია მაღალი რანგის მოხელეებისთვის, ნებისმიერ დროს აელოთ ყურმილი, მათ შორის — მობილურისაც. ვოლსკიმ განგვიმარტა: როგორც ჩანს, საქმე ეხება ყველა უწყებაში არსებული სტრუქტურების მეშვეობით საზოგადოებრიობასთან მინისტრების კავშირის ოპტიმიზაციას.

**იური სიმონიანი,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა", 9 ნოემბერი.**

# სააკაშვილი კრიზისში ეფლობა

**საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი დაადგა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის გზას. „რადიო ფრანს ინტერნასიონალისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს იგი აფასებს, როგორც „ძველი სისტემის კლანების კლუბს, რომლებიც იბრძვიან გადარჩენისთვის".**

ამავე დროს, როგორც ქართული ყოველკვირეული „ბასტა" იტყობინებოდა, თანამდებობიდან გადაყენების საფრთხე რეალურად დაემუქრა კიდევ ერთ „მოწვეულ" მინისტრს — კახა ბენდუქიძეს. არაოფიციალური ინფორმაციით, ეკონომიკურ რეფორმათა საკითხებში სახელმწიფო მინისტრის საქმიანობით უკმაყოფილოა საპარლამენტო უმრავლესობა. შებრკოლების ლოდი შეიძლება გახდეს ბენდუქიძის მიერ წარმოდგენილი ახალი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს კომუნიკაციის საკითხთა კომისიის რეფორმას. ამ კომისიას ხელმძღვანელობს პრეზიდენტთან დაახლოებული პირი — დიმიტრი ქიტოშვილი. ამავე დროს, თანდათანობით „შეირყა" თავდაცვის მინისტრის პოზიციებიც. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ირაკლი ოქრუაშვილის გავლენა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე, ყოველდღიურად სულ უფრო სუსტდება. ეს გამოვლინდა მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა განახორციელა მოულოდნელი ღამის რეიდი თავდაცვის სამინისტროში, რომლის შედეგადაც თანამდებობიდან გადააყენეს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე.

ბუნებრივია, როცა კარგავს ავტორიტეტს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, „ვარდების რევოლუციის" ლიდერი, როგორც ყოველთვის, ცდილობს, გაათამაშოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის „კოზირი". ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოებში, თბილისიდან სწორედ ახლა გაჟონა საკმაოდ უცნაურმა ცნობამ. საქმე ეხება ეგრეთ წოდებულ „საგზაო რუკას", რომელსაც საქართველოს მთავრობა ამზადებს „ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური კონფლიქტების ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის შემთხვევაში".

როგორც ინფორმაციიდან ირკვევა, ეს „საგზაო რუკა", ითვალისწინებს „მსოფლიო გაერთიანების დახმარებით", აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებისთვის გამიზნული ნაბიჯების მთელ კომპლექსს. თბილისი ამით არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ელის დასავლეთისგან რუსეთზე ზემოქმედების გაძლიერებას და ნატოს მხრიდან საქართველოს უშუალო მხარდაჭერის გადიდებას. ამას მიანიშნებს ისიც, რომ საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო დადგენილება კონფლიქტების ზონებიდან რუსი მშვიდობისმყოფლების 2006 წლისთვის შესაძლო გაყვანის შესახებ. მართალია, აღნიშნულია, რომ თბილისის „საგზაო რუკა" არ არის ორიენტირებული სოხუმისა და ცხინვალის წინააღმდეგ ძალისმიერი აქციების განხორციელებაზე, მაგრამ იქვე ხაზგასმულია: თბილისი იტოვებს უფლებას, გამოიყენოს ნებისმიერი შესაძლებლობა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის.

ადგილობრივ ანალიტიკოსთა შეფასებით, ეს ინფორმაცია არის სააკაშვილის მიერ წამოწყებული მორიგი საერთაშორისო ინტრიგა, რომელიც ისახავს ორმაგ მიზანს — მოსკოვის მხრიდან იმთავითვე ნეგატიური რეაქციის პროვოკაციული გზით გამოწვევას და დასავლეთის შემოწმებას იმ საკითხში, თუ როგორ მოეკიდება იგი საქართველოს პოლიტიკურ გააქტიურებას და როგორი იქნება მისი სამხედრო მხარდაჭერა, ჩამოშორებული ტერიტორიების მიმართ ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში.

ამავე დროს, კარგად არის ცნობილი, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან რუსი მშვიდობისმყოფლების გაყვანას კონფლიქტების ზონიდან და ამას სამართლიანად მიიჩნევენ, როგორც შეიარაღებული დაპირისპირების განახლების საფრთხედ. ამიტომ, მოსკოვი ყოველმხრივ ეცდება აღკვეთოს ახალი შეიარაღებული დაპირისპირება თავისი საზღვრების უშუალო სიახლოვეს.

**ირაკლი გელაშვილი,**
**„როსიისკიე ვესტი", 9 ნოემბერი.**

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სტატისტიკის დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

**ა) განცხადება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — სტატისტიკის დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სახელზე;**

**ბ) ავტობიოგრაფია;**

**გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;**

**დ) 2 ცალი ფოტოსურათი 3X4;**

**ე) უმაღლესი განათლების დიპლომი;**

**ვ) უკვე გაცემული შრომის წიგნაკის ასლი;**

**ზ) CV შემდეგ ელექტრონული მისამართზე: ggoradze@statistics. gov ge**

განცხადებები მიიღება სტატისტიკის დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, კ. გამსახურდიას №4.**

განცხადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 5 დეკემბერი.**

კონკურსი გაიმართება **2005 წლის 19-20 დეკემბერს.**

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

**პირველ ეტაპი (19 დეკემბერს)** წერილობითი ტესტირება ზოგადი უნარ-ჩვევების, ლოგიკური აზროვნების, მათემატიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე.

**მეორე ეტაპი (20 დეკემბერს)** ზეპირი გასაუბრება, რომელზეც დაიშვებიან ტესტირებაზე დადებითი შედეგის მქონე კანდიდატები.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ გვერდს: **www. statistics.gov.ge**

# საფრანგეთში საგანგებო ზომებს მიმართავენ

**ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქების ამიენის და ორლეანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირველებმა შემოიღეს კომენდანტის საათი იმ ახალი უფლებამოსილებების შესაბამისად, რომლებიც სამშაბათს მოიწონა მინისტრთა კაბინეტმა საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის ფარგლებში.**

საგანგებო ზომები უკვე მოქმედებს ასევე პარიზის გარეუბან რენსიში. ქალაქ სავინიის ხელისუფლებამაც გამოთქვა წინადადება შემოიღოს კომენდანტის საათი 16 წლამდე ასაკის მოზარდებისთვის.

ამავე დროს, გასულ ღამეს კვლავ გავრცელდა ინფორმაცია ტულუზში, ბორდოსა და ლიონში უწესრიგობების შესახებ.

საგანგებო წესები, რომელთა თანახმადაც პოლიციელებს ეძლევათ უფლება მოსამართლის ორდერის გარეშე შეიჭრნენ ბინებში და განახორციელონ ჩხრეკა, შემოიღეს იმ მასობრივი უწესრიგობების აღკვეთის მიზნით, რომლებიც უკვე ზედიზედ მეთორმეტე ღამეა გრძელდება.



ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისა და საფრანგეთის მაგისტრატთა ასოციაციის წარმომადგენლებს ეს ღონისძიებები სამოქალაქო უფლებების დარღვევად მიაჩნიათ.

კომენდანტის საათის დროს პოლიციას შეუძლია განახორციელოს ჩხრეკა-დაპატიმრებები იარაღისა და ტყვია-წამლის ჩამორთმევის მიზნით; შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს უფლება შინაპატიმრობაში ამყოფოს ის პირები, რომელთა თავისუფლად გადაადგილება უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ უშიშროებას; შეიძლება დაიხუროს საზოგადოებრივ ღონისძიებათა გამართვის ადგილები; პოლიციას ეძლევა ნება განახორციელოს ჩხრეკა-დაპატიმრება დღე-ღამის ნებისმიერ დროს; ხელისუფლებას შეუძლია დააწესოს ცენზურა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ასევე გააკონტროლოს კინოდარბაზები და თეატრები. საგანგებო წესების 12 დღეზე მეტი ხნით შემოღების შესახებ წინადადება უნდა მოიწონოს საფრანგეთის პარლამენტმა.

# ცსს ეძებს „საიდუმლო საპყრობილეების" შესახებ ინფორმაციის გაჟონვის წყაროებს

**ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გადაწყვიტა გამოიძიოს, თუ რა გზით გაჟონა ინფორმაციამ საზღვარგარეთ საიდუმლო საპყრობილეების არსებობის შესახებ.**

საქმე ეხება გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" გასულ კვირას გამოქვეყნებულ სტატიას. წერილის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ აღმოსავლეთი ევროპის გარკვეულ ქვეყნებში შექმნა რამდენიმე ობიექტი, რომლებშიც დაკავებული ჰყავთ ტერორთან კავშირში ეჭვმიტანილი პირები.

ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უარი თქვეს ამ ბრალდების შესახებ რაიმე კომენტარის გაკეთებისგან.

სამშაბათს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა თავი აარიდა ამ თემაზე დასმულ კითხვაზე პასუხს და მხოლოდ ის თქვა, რომ შეერთებული შტატები აწარმოებს „სხვაგვარ ომს" და მან უნდა დაიცვას თავი.

ადმინისტრაციის წარმომადგენლების და სახელმწიფო მდივნის ასეთმა ქცევამ მრავალი ჩააფიქრა იმაზე, რომ შეიძლება ნამდვილად არსებობდეს რაღაც საიდუმლო საპყრობილეები.

სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებმაც არ ისურვეს ვინაობის გამხელა, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსთან საუბრისას განაცხადეს, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უკვე სთხოვა იუსტიციის სამინისტროს, განიხილოს ინფორმაციის გაჟონვის შესაძლებლობები. ახლა იუსტიციის სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს, საჭირო იქნება თუ არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის, რუმინეთის და პოლონეთის მთავრობებმა, რომელთა ტერიტორიებზეც, „ჰიუმან რაიოტს უოტჩის" მიერ მომზადებული მოხსენების თანახმად, შეიძლება მდებარეობდეს ზემოაღნიშნული ციხეები, უკვე უარყვეს ასეთი ინფორმაცია.

წამყვანმა რესპუბლიკელმა-კონგრესმენებმა მოითხოვეს კონგრესში შესაბამისი კომისიის შექმნა, რომელიც გამოიძიებს ინფორმაციის შესაძლო გაჟონვასთან დაკავშირებულ საქმეს.



# აზერბაიჯანის ოპოზიცია დანებებას არ აპირებს

**აზერბაიჯანის ოპოზიციას ბაქოში დაგეგმილი აქვს გამართოს საპროტესტო მიტინგი იმ გაყალბებათა წინააღმდეგ, რომელთა მეშვეობითაც, ოპოზიციონერთა აზრით, ხელისუფლებამ შეძლო თავის სასარგებლოდ დაესრულებინა კვირას გამართული პარლამენტის არჩევნები.**

როგორც ცნობილია, „ახალი აზერბაიჯანის" მმართველმა პარტიამ მიიღო პარლამენტში ადგილების უმრავლესობა.

სამშაბათს აზერბაიჯანელ და უცხოელ ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მაზაჰირ პანახოვმა განაცხადა, რომ კომისიამ გაითვალისწინა კენჭისყრის დროს მაქინაციების შესახებ აღძრული საჩივრები და გააუქმა არჩევნების შედეგები 10 ოლქში.

მაგრამ ეს პარლამენტში ძალთა საერთო განლაგებაზე გავლენას ვერ მოახდენს: ხელისუფლების პარტია ფორმალურად დამოუკიდებელ პროსამთავრობო კანდიდატებთან ერთად, მაინც მოიპოვებს მანდატების დიდ უმრავლესობას.

წამყვანი ოპოზიციური პარტიის „მუსავათის" ლიდერი ისა გამბარი ამტკიცებს, რომ კენჭისყრის შედეგების ნაწილობრივი გაუქმება ხელისუფლების მიერ წინასწარ დაგეგმილი ტრიუკი იყო. გამბარის აზრით, არჩევნების შედეგები უნდა გაუქმდეს სულ ცოტა 100 ოლქში მაინც.

„მუსავათის" ლიდერმა განაცხადა, რომ ოპოზიციური ბლოკი „აზადლიგი" („თავისუფლება") არ ცნობს კენჭისყრის შედეგებს და იბრძოლებს ხელახალი არჩევნების გამართვისთვის. მაგრამ ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით ვიბრძოლებთ, დასძინა მან.

ოპოზიციონერები იწყებენ სანქციონირებულ მსვლელობას და მიტინგს ბაქოში. ისა გამბარი დარწმუნებულია, რომ აქცია მასობრივი იქნება.

თავის მხრივ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას ბევრი ილაპარაკა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე.

# რეფორმატორები რუსულად და მათი შედეგები

## რუსეთის ყველა პრემიერ-მინისტრი ინფლაციას ებრძოდა. ზოგი კარგად, ზოგიც — ცუდად. თუ რა „უშლიდათ" მათ ხელს, რომ თანამემამულეთა ცხოვრება უკეთესი გაეხადათ, ეს ცხრილიდანაც კარგად ჩანს

| | ე. გაიდარი | ვ. ჩერნომირდინი | ს. კირიენკო | ე. პრიმაკოვი | ს. სტეპაშინი | ვ. პუტინი | მ. კასიანოვი | მ. ფრადკოვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრემიერი |  |  |  |  |  |  |  |  |
| მმართველობის წლები | 1991 ნოემბერი – 1992 დეკემბერი | 1992 დეკემბერი – 1998 მარტი | 1998 მარტი – აგვისტო | 1998 სექტემბერი – 1999 მაისი | 1999 მაისი – აგვისტო | 1999 აგვისტო – 2000 მარტი | 2000 მაისი – 2004 თებერვალი | 2004 წლის მარტიდან დღემდე |
| განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენები | გააუქმა სახელმწიფოს მხრიდან ფასებზე კონტროლი, ჩაატარა ვაუჩერებით პრივატიზაცია, შემოიღო რუბლის საბაზრო კურსი, გახსნა საზღვრები, გაუფასურდა მოქალაქეთა ანაბრები.<br>ფასები გაიზარდა 2508,8 პროცენტით. | კერძო პირებს დაურიგა ნავთობკომპანიები, სესხი აიღო მსოფლიო სავალუტო ფონდისგან, ჩაატარა დენომინაცია, მის დროს მოხდა „შავი ორშაბათი" (რუბლის კურსის კატასტროფული ვარდნა).<br>ფასები გაიზარდა 1221,5 პროცენტით. | სამრეწველო წარმოება 9,4 პროცენტით დაეცა, იყო მეშახტეთა მასობრივი გამოსვლები, დეფოლტი, დოლარის გაძვირება (6 რუბლის მაგივრად 24 რუბლი), დაინგრა საბანკო სისტემა.<br>ფასები გაიზარდა 5,5 პროცენტით. | მენავთობეები დაარწმუნა, რომ გაეყინათ ნავთობის ფასი, შეაჩერა ინფლაცია, შეძლო რუბლის კურსის შენარჩუნება, შეამცირა ბიუჯეტის დავალიანება, შეზღუდა ვალუტის გამოთხოვნა 19-დან 5 ათას დოლარამდე.<br>ფასები გაიზარდა 80,7 პროცენტით. | მოილაპარაკა ლონდონისა და პარიზის კლუბებთან და მიაღწია მათდამი ვალების მნიშვნელოვან ჩამოწერას, აიღო ახალი საერთაშორისო ვალი, არ გაამართლა საზოგადოების იმედები, როგორც ბორის ელცინის საპრეზიდენტო ფავორიტმა.<br>ფასები გაიზარდა 5,9 პროცენტით. | დაიწყო საგადასახადო რეფორმა, შეჩერდა ჩეჩნეთის ომი, გამოაცხადა ტერორიზმთან ბრძოლა, მოაწესრიგა ლონდონის კლუბთან ურთიერთობა, შეამცირა გაფიცვების რიცხვი 10 პროცენტით.<br>ფასები გაიზარდა 9,3 პროცენტით. | დაიწყო სახელმწიფო აპარატის რეფორმა. მოხდა „სახელმწიფო ვალის" სკანდალი (მისმა ფირმამ ჩალის ფასად შეისყიდა „ფალკონი"), მიიღო მიწის კოდექსი და დაიწყო საპენსიო რეფორმა.<br>ფასები გაიზარდა 61,3 პროცენტით. | შეფერხდა ადმინისტრაციული რეფორმა, წინასწარ დაიფარა მსოფლიო სავალუტო ფონდისა და პარიზის კლუბის ვალები. უპრეცედენტოდ შეივსო ოქროსა და ვალუტის რეზერვი, შეიქმნა მასტაბილიზებელი ფონდი და ჩატარდა მონეტიზაცია.<br>ფასები გაიზარდა 18 პროცენტით. |

◎ გენერალისიმუსის გზა

კორკენ საქტანოვი

# სტალინის შემდეგ

პირველი ნაწილი

სტალინი თავისი ოჯახით ცხოვრობდა კრემლის კავალერიის კორპუსში, ძმების აბელ და ტრიფონ ენუქიძეების მეზობლად. ნადეჟდა უხმოდ, შინამოსამსახურეთა შეუწუხებლად, თავის ბინაში შევიდა. სტალინი ჯერ არ დაბრუნებულიყო. ნადეჟდა ფანჯარასთან მივიდა, ომიდან ჩარჩენილი მძიმე საკეტი გახსნა, ღამეს გახედა, აქეთ მოჩანდა ალექსანდრეს ბაღი, სადაც იცნობდა თითოეულ ხესა და ბუჩქს. ქორწილის შემდეგ პირველ წელს, იოსებთან ერთად, აქ სეირნობდა გვიან ღამით, როდესაც მთელ ქალაქს ღრმად ეძინა. ო, იოსები მაშინ სხვანაირი იყო! ეალერსებოდა, კოცნიდა მის მხურვალე ტუჩებს და ეჩურჩულებოდა: „ნადიუშა, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, ვარ შენ ბედნიერი, უსაზღვროდ ჩემი ბედნიერება!“ როგორ ვუყვარდი მაშინ იოსებს! ახლა კი?..

ნადეჟდამ თავი ხელისგულებში ჩამალა და მწარედ აქვითინდა. რაც მეტს ტიროდა, მით უფრო მძიმდებოდა



და კიამანი გულზე. იმ დროს მთელი სამყაროს სიხარული ჩირადაც არ მიაჩნდა, თავს გრძნობდა ყველასგან მიტოვებულად. ასე ცხოვრება მეტი აღარ შეიძლება!..

იგი მაგიდას მიუჯდა და თვალცრემლიანმა წერილი დაწერა:

**„იოსებ! ალბათ, ისე არავის უყვარხარ, როგორც მიყვარდი, და უფრო არც არავინ შეგიყვარებს. ალბათ, არც ერთი ისეთი ქალი, რომელიც შენ შემოგწირავდა გულის ალს, მთელ თავის სიცოცხლეს. მიყვარხარ! მხოლოდ სიკვდილი თუ დაგვაშორებს...**

**რატომ მწყრია ასეთი განშორება? რა მაკლია? ეს აზრი მწვავს ბოლო ხუთი წლის მანძილზე. ყველაფერი მაქვს, მაგრამ არ გამაჩნია შენი სიყვარული, შენი კეთილი დამოკიდებულება. შენ სულში ის ადგილი, რომელიც მეკუთვნის, დაიკავეს სახელმწიფომ და პოლიტიკამ. შენ გული მე კი არ მეკუთვნის, არამედ მთელ ქვეყანას, რამდენჯერ შეგხვეწებივარ, მითქვამს, რომ მეყოფა, შენ კი აჰყეფდა, რა დიდი ამბავია, შენივით**

**თუნდაც ერთხელ გიპასუხია ჩემ უსაზღვრო სიყვარულზე? არა! ღამით მე მოვდიოდი შენთან, და არა შენ. მიუხედავად იმისა, რომ ოცდაორი წლით შენზე უმცროსი ვარ, მე გეხვეოდი, მე ერთხელაც მოგწყინდა, ჩემი ადგილის ადაგის მე უკან ვტიროდი, შენ გულით არ გწყინდა. განა ცოლზე დიდი პატივი მოგიწონდა პოლიტიკა, მე მჭირდება ჩემი თბილი. არც ერთი მეგობრებით ვერ გაგაჩერე, აქვს ერთი მხოლოდ ისეთი ზემოთ შეუძლია სიცოცხ-**

**ლე ... ელი ურთიერთობა ტროცკისთან ... ი საზღვარზე ... მ შენ შე... ას მისივე ... ცა თავი ... ჩნია, მაგრამ თვითონვე გადაუხვიე ლენინურ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, გზა მიეცი მიწის განსაზოგადოების პოლიტიკას, ძალით წაართვი იგი გლეხებს. რა მოხდა საბოლოოდ? ათასობით უდანაშაულო ადამიანი ვოლგისპირეთსა და ყაზახეთში შიმშილით დაიხოცა. ვის უნდა დაეკისროს ეს ცოდვა? ვინ გაიგონა მათი გმინვა? ნუ გაბრაზდები, რომ კვლავ ვერევი შენ პოლიტიკაში. ამას გწერ მხოლოდ როგორც შენი ახლობელი ადამიანი!**

**გწერ ამას და გული ლამის გამისკდეს უჩემოდ სვეტას ბედის გამო. ჩემს არცერთ ისე ძალზე სჭირდებათ დედის ალერსი, გოგონას კი უჩემოდ გაუჭირდება. როგორ მეცოდება იგი, მაგრამ გამოსავალი არ არის, როგორც ჩანს, ასეთია ჩემი ბედი, სამუდამოდ გტოვებთ. სიკვდილის წინ ჩემი დიდი თხოვნაა — არ მოეპყრო სვეტას ისე უგულოდ, როგორც მე მეპყრობი. ვერ გამხადე ბედნიერი, გააკეთე ისე, რომ შვილი გააბედნიერო!**

**მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, საყვარელო იოსებ!..**

**შენი ნადია.**

**1932 წლის 8 სექტემბერი.**

**დასასრულ კიდევ ერთი რამ... ამაოდ ეჭვიანობდი, თითქოს სიმპატიით ვიყავი განწყობილი ბუხარინისადმი. ღმერთო ჩემო, აზრადაც არ მომხვეწია ასეთი რამ. პირიქით, მოწმე ხარ, ჩვენი ერთად ცხოვრების თხუთმეტი წლის მანძილზე ყურადღება არავისათვის მიმიქცევია. ჩემი ფიქრები მხოლოდ შენ ერთს გეკუთვნოდა, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო!**

**კიდევ ერთხელ მშვიდობით! სვეტას გაუფრთხილდი!..“**

მან წერილი კონვერტში ჩადო და დააწერა: „იოსებ სტალინს, პირადად“, შემდეგ ის ყუთიდან, სადაც ყველაზე ძვირფას ნივთებს ინახავდა, პატარა „ვალტერი“ ამოიღო. ახალი კაბა გადაიცვა, სარკის წინ დადგა, თვალები მაგრად დახუჭა, პისტოლეტის ლულა საფეთქელზე მიიდო და ჩახმახს თითი გამოჰკრა. გასროლის ხმა არავის გაუგონია.

მკვდარი ნადია დილით შინამოსამსახურე კაროლინა ტილმა აღმოაჩინა. სტალინს, რომელიც საღამოს წვეულებიდან გვიან დაბრუნდა, ამ დროს თავის ოთახში ეძინა. მოსამსახურე მოულოდნელობისაგან ადგილზე გაქვავდა. ვერავინ ბედავდა სამწუხარო ამბავი სტალინისათვის ეცნობებინა, ამიტომ შეატყობინეს მის მეზობელს — აბელ ენუქიძეს. მალე გამოჩნდა აბელი მოლოტოვთან და ვოროშილოვთან ერთად. მხოლოდ მაშინ გონს მოსულმა კაროლინა ტილმა მხნეობა მოიკრიბა და სტალინის გასაღვიძებლად წავიდა. სტალინმა დინჯად ხელ-პირი დაიბანა, ჩაიცვა და ოთახიდან გამოვიდა. მოლოტოვი მას მიუახლოვდა და უთხრა:

— კობა, ნადია ჩვენთან აღარ არის!

სტალინმა მზერა სისხლით მოსვრილი მეუღლის უსულო სხეულს მიაპყრო და დუმილით განზე გადგა. მაშინვე ქალბატონმა პელამ, აბელ ენუქიძის მეუღლემ, ნადეჟდას წერილი გაუწოდა:

— სოსო, გენაცვალე, გამაგრდი, საყვარელო!

სტალინმა წერილი გამოართვა, ოთახში შევიდა, კარი შიგნიდან ჩარაზა. ენუქიძის ცოლმა ნაშუადღევს კარზე დაუკაკუნა:

— სოსო, შემოგევლე, ეს მე ვარ, პელიკო, კარი გამიღე!

სტალინმა კარი არ გაუღო. იმ დღესა და იმ ღამეს არსად გასულა, საჭმლისათვის პირი არ დაუკარებია და საწოლში გულდაღმა იწვა. მხოლოდ დილით ჭიქა ქართული მაგარი ღვინო დალია და შინიდან გავიდა.

სტალინი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაკრძალვას არ დასწრებია. ცოლის საქციელი დაუშვებლად მიაჩნდა. განა რაიმე აკლდა? ეკეთებინა ქალის საქმე ოჯახში, შვილებისათვის მოევლო, აღეზარდა ისინი და არ ჩაეყო ცხვირი იქ, სადაც მისი საქმე არ იყო. მაგრამ სტალინმა ვერ შეძლო ცოლის დავიწყება. თუმცა დაკრძალვას არ დასწრებია, ყვავილების უზარმაზარი თაიგული, მარტოდმარტო იჯდა საფლავის კიდეზე, დუმდა, ჩიბუხს ეწეოდა. ამის შემდეგ ცოლი არ უთხოვია.

სტალინს არასდროს მოსწონებია ქალების პოლიტიკაში. ბოლო კონფლიქტი ლენინთან სწორედ ამის გამო მოუხდა. მაშინ ლენინი გორკებში მკურნალობდა. მისი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო ექიმებმა მკაცრად აუკრძალეს მუშაობა და შეხვედრები ცენტრალური კომიტეტის წევრებთან. ლენინი ესადმად თავს მოუსვენრად გრძნობდა, კავშირი ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლებთან წერილობითი ფორმით და მითითებებს ბარათებით იძლეოდა. ერთხელ მძიმე ავადმყოფი ლენინმა ნადეჟდა კრუპსკაიას უკარნახა წერილი ტროცკისადმი. ეს ამბავი სტალინმა შეიტყო ნადეჟდა ალილუევასაგან, რომელიც გორკებში სპეციალურად იყო დანიშნული მორიგე მდივნად, ტელეფონთან გამოიძახა კრუპსკაია და გაცეცხლებულმა კარგა მაგრად გაჯერა: „რატომ აწუხებთ ავადმყოფ ილიჩს ექიმების უნებართვოდ, რატომ აყენებთ მას თავის ტკივილს. ასეთი უპასუხისმგებლობისათვის პასუხს აგებთ ცენტრალური კომისიის წინაშე“.

„ოცდაათი წელია პარტიულ სამუშაოზე ვარ, და ამ ათეული წლის მანძილზე ლენინის არც ერთი თანამებრძოლისაგან, არც ერთი მონაფისა და თანამოაზრისაგან ასეთი რამ არ მსმენია“, — აღშფოთებული იყო კრუპსკაია. ეს ჩხუბი 1922 წლის 21 დეკემბერს მოხდა, მაგრამ ლენინმა იგი შეიტყო მხოლოდ მომდევნო წლის 5 მარტს. ლენინმა სტალინს შემდეგი წერილით უპასუხა:

**„თქვენ დაუშვით უხეშობა ჩემ ცოლთან ტელეფონით საუბრისას. თუმცა მან განაცხადა, რომ შეგინდოთ ნათქვამი, მაგრამ ეს ფაქტი მისი მეშვეობით ცნობილი გახდა ზინოვიევისა და კამენევისათვის. მე მიზნად არ მაქვს ასეთი უხეში დამოკიდებულება ჩემი მეუღლისადმი. ამიტომ, დაფიქრდით, თუ არა უკან წაიღოთ თქვენი სიტყვები, ბოდიში მოუხადოთ, თუ გირჩევნიათ ჩვენს შორის არსებულ[illegible]ირი ურთიერთობა და სხვა ურთიერთობებზე გადახვიდეთ?“** ამ წერილმა სტალინს მეტისმეტად გაუფუჭა გუნება-განწყობილება. იგი კრუპსკაიაზე განრისხდა იმიტომ, რომ ლენინის ჯანმრთელობას უფრთხილდებოდა! სტალინმა პასუხად მისწერა:

**„ამხანაგო ლენინ!**

**ხუთი კვირის წინათ მართლაც მკვახედ ველაპარაკე თქვენ მეუღლესა და ჩემ ძველ პარტიულ ამხანაგს ნადეჟდა კრუპსკაიას: „ექიმებმა ილიჩს აუკრძალეს პოლიტიკური ინფორმაციის მიღება. ეს მოთხოვნა მეტად მნიშვნელოვანია წარმატებისათვის მის მკურნალობაში, მაგრამ თქვენ, ნადეჟდა კონსტანტინოვნა, ამ მოთხოვნებს არღვევთ. ილიჩის სიცოცხლესთან ხუმრობა არ ეგების!“**

**მე არ მივიჩნიე, რომ ამ სიტყვებში ჩემი მხრივ დაშვებული იყო რაიმე განსაკუთრებული რამ თქვენ წინააღმდეგ მიმართული. იყო მხოლოდ თქვენი უსწრაფესად გამოჯანმრთელების სურვილი. ამასთან, თვით მე სწორად მიმაჩნდა ექიმთა მოთხოვნები და მხარს ვუჭერდი მათ.**

**ჩვენ ამას წინათ ნადეჟდა კონსტანტინოვნასთან საუბარში შევეხეთ იმ ლაპარაკს და კარგად შევიცანით, რომ არც ერთ ჩვენგანს გულში ცუდი აზრები არ ჰქონია და არც შეიძლება გვქონოდა.**

**სხვათა შორის, თქვენ მწერთ: ვაპირებ თუ არა ჩემი სიტყვების უკან წაღებას ან ბოდიშის მოხდას, ხომ არ მიმაჩნია შესაძლებლად თქვენთან ყოფილი ურთიერთობიდან სხვა ურთიერთობებზე გადასვლა? თუ ეს თქვენ მძიმედ აღიქვით, მზად ვარ ბოდიში მოვიხადო და ჩემი სიტყვები უკან წავიღო, მაგრამ მიკვირს და გამკვირვებია, რა არის ჩემი ბრალი და რატომ ასე მესხმიან თავს?**

**ი. სტალინი“.**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 257-260.**

◎ არის იდეა

# როცა ქართველი ამბობს: „აი ემ ჯორჯიენ, აი ემ ევროპიენ“, ის სრულიად მართალია,

## მაგრამ ხვალ რომ გავიღვიძოთ და... ინდოევროპელებიც აღმოვჩნდეთ?!

**ამას წინათ რედაქციაში სტუმარი გვეწვია საფრანგეთიდან. გაგვეცნო, ალექსანდრ ვარპეტიანი ვარ, ქართველ მეცნიერთათვის ერთობ საინტერესო იდეით ჩამოვედიო.**

**არქიტექტორი, მწერალი, ფილოსოფოსი, ორიენტალისტი ალექსანდრ ვარპეტიანი 1943 წელს დაბადებულა მარსელში. სომხეთსა და საფრანგეთში ჟურნალისტობდა, მსახიობობდა, არქიტექტორობდა. ამავე დროს გატაცებულია მითოლოგიისა და რელიგიების ისტორიით. ავტორია ფილოსოფიური ნაშრომისა „ესენსი“ („არსი“), რომელიც ფილოსოფიური თეორიაა მთლიანობაზე, აგრეთვე უზარმაზარი ნაშრომისა — „გენეზისი — აია“. მისი სახელი შეტანილია კემბრიჯის „ლურჯ წიგნში“, აგრეთვე, აშშ-ში 2004 წელს გამოცემულ წიგნში „XXI საუკუნის დიდი მოაზროვნენი“, საიდანაც ამოღებულია ეს ბიოგრაფიული ცნობები.**



ალექსანდრ ვარპეტიანი.

ალექსანდრ ვარპეტიანი აყენებს იდეას: მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული და დასაბუთებული თეორიისა, რომ ქართველები არ არიან ინდოევროპელები, ისინი... მაინც ინდოევროპელები არიან.

აქ მცირე ექსკურსი ინდოევროპეისტიკაში. უამისოდ საკითხის არსში ვერ გავერკვევით.

1786 წელს კალკუტის უზენაესი სასამართლოს მთავარმა მოსამართლემ უილიამ ჯონსმა, რომელიც გატაცებული იყო ძველი ენებითა და ისტორიით, შეამჩნია ლინგვისტური ნათესაობა ენებს შორის, რომლებსაც დღეს ინდოევროპულს ვუწოდებთ. მან აღმოაჩინა, რომ ყველა ენას ჰქონდა რაღაც საერთო და რომ მათ შორის არსებული განსხვავება უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნამდვილი. შემდეგ გერმანელმა მეცნიერმა ფრანც ბოპმა ამ მონათესავე ენათა ჯგუფს ტერიტორიული გავრცელების მიხედვით ინდოევროპული უწოდა...

ეს დიდი ოჯახი აერთიანებს ევრაზიის ათობით ცოცხალ თუ მკვდარ ენას, მოიცავს 17 ახლომონათესავე ჯგუფს ხეთურ-ლივიურიდან ირანულსა, გერმანულსა თუ სლავურამდე. ამ ქვეჯგუფებში უფრო მჭიდრო ნათესაობაა, მათი გეოგრაფიული და ეთნიკური ლოკალიზაციის შედეგად.

ყოველივე ამის შესახებ დღეს მეცნიერები აღარ დავობენ. არც იმაზე, რომ თავდაპირველი საცხოვრისიდან ინდოევროპელთა განფანტვა დაახლოებით მეხუთე ათასწლეულიდან დაიწყო.

დავობენ იმაზე, თუ სად ცხოვრობდა ერთად ეს ხალხი, რომელსაც ჰქონდა ერთი ენა, ერთი კულტურა, ერთი რელიგია-მითოლოგია.

— მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ინდოევროპელთა სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ევროპას შორის უნდა ყოფილიყო, — გატაცებით მიხსნის მუსიე ალექსანდრე, — ცნობილი არქეოლოგი გორდონ ჩაკი სამ ცენტრს ასახელებს: იერიქონს (პალესტინა) — ძვ. წ. VII-VI ათასწლეული, უკერამიკო ნეოლითის ხანა; ალი ქოშს (ზაგროსის სამხრეთით, ირანი — ძვ. წ. VIII-VI ათასწლეულების ნეოლითის ნამოსახლარები და ჩათალ-ჰუიუქს (ჩრდილოეთ სირია) იმავე პერიოდისა.

ეს სამი ცენტრი მეცნიერებაში დიდხანს იყო გაბატონებული, მაგრამ ბოლოს მაინც დაისვა კითხვა: სამი თუ ერთი ცენტრი? გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და მისი კოლეგა აკადემიკოსი ვიაჩესლავ ივანოვი, თავიანთ მონუმენტურ ორტომიან ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, რომელიც თბილისში რუსულ ენაზე გამოიცა 1984 წელს, სრულიად ახლებურად წყვეტენ პრობლემას ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის შესახებ: ამ საცხოვრისად ახლო აღმოსავლეთი — აღმოსავლეთ ანატოლიას მიიჩნევენ. აქედან დაიწყოო მათი დაშლა VI-V ათასწლეულებში.

მე საფუძვლიანად შევისწავლე სამივე „ცენტრის“ არქეოლოგიური გათხრების მონაცემები: კულტურა აშკარად ერთია, დრო — მეტნაკლებად განსხვავებული (1000 წლით) და დამოუკიდებლად მივედი დასკვნამდე, რომ ყველაზე ძველია ჩაიონუ-თეფესი (აღმოსავლეთ ანატოლია) და სწორედ ის უნდა იყოს ინდოევროპელთა წინარე სამშობლო. 2000 წელს გამოვეცი ჩემი ხანგრძლივი კვლევის შედეგი — 1000-გვერდიანი წიგნი, რომელიც გამყრელიძე-ივანოვის ნაშრომზეა დაფუძნებული, რადგან ის მიმაჩნია ყველაზე სერიოზულ და სტრუქტურულ ნაშრომად.

ჩემი წიგნი ჯერ ისევ სტამბაში იყო, როცა 2000 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა ცნობა იმ რაიონში გერმანელ და თურქ არქეოლოგთა შესანიშნავი, „ათასწლეულის აღმოჩენის“ — მინიმუმ 11 ათასი წლის წინანდელი უზარმაზარი ტაძრის გათხრის შესახებ. ისინი პირდაპირ ამბობენ, აი ის ცენტრი, საიდანაც ყველა ინდოევროპელი გამოვიდაო. მართლაც, იქ მოკვლეული სიმბოლოები მეორდება ჩათალ-ჰუიუქში და სხვაგან, აქედან დასკვნა: ეს დასახლებები ერთი კულტურის, ერთი წარმოშობის ხალხს ეკუთვნის.

2003 წლის ნოემბერში ინგლისურმა და ფრანგულმა სამეცნიერო ჟურნალებმა ერთდროულად, რამდენიმე დღის შემდეგ კი გერმანულმა ჟურნალმაც გამოაქვეყნეს მასალები, რომ ნეოლითის ცენტრი სწორედ ანატოლიის შუაგულშია.

***— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ასეთი სინქრონულობა, რაში იყო საქმე?***

— იმაში, რომ სწორედ მაშინ დაისვა ევროკავშირში თურქეთის შესვლის საკითხი.

***— მერე რითი უკავშირდება ეს ორი მოვლენა ერთმანეთს?***

— ყველა იმ ინგლისურ-ფრანგულ-გერმანულ გამოკვლევათა არსი იყო პასუხის გაცემა კითხვაზე: თურქები ინდოევროპელები არ არიან, მაგრამ თურქეთი მაინც თუ არის ევროპის ტერიტორია, ამ კონტინენტის ნაწილი? მიღებულია, რომ ურალი ევროპის უკიდურესი აღმოსავლეთი ხაზი ევროპა-აზიის მიჯნაა. მაგრამ სად გადის ასეთი მიჯნა სამხრეთში, სად უნდა „შეჩერდეს“ ევროპა სამხრეთში? სწორედ თურქეთის ტერიტორიაზე! ინდოევროპელთა წინარე სამშობლო არ შეიძლება იყოს ევროპის გარეთ. ამდენად, ინდოევროპელთა წინარე სამშობლოს საკითხი, ამჟამად უკვე პოლიტიკურ ასპექტში, კვლავ დადგა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში.



პირველი ევროპელები — მეფვა და მზია

***— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მთელ ამ ამბავთან რა კავშირი აქვს საქართველოს. ქართველები ხომ, როგორც ცნობილია, ინდოევროპელები არ ვართ?***

— საქართველო ევროკავშირში შესასვლელად ემზადება, მაგრამ ამუხრუჭებენ, ეს პროცესი საქართველოთი არ დამთავრდება, მაშინ ამას სომხეთიც მოითხოვს. რა თქმა უნდა, მოითხოვს, იმიტომ, რომ როგორც საქართველო, ისე სომხეთიც ევროპის ქვეყანაა. ალბათ, აზერბაიჯანის საკითხიც დადგება, ისიც ევროპაა ტერიტორიულად. მთელი სამხრეთ კავკასია ევროპაა. ოღონდ რაკი საქართველო და სომხეთი ქრისტიანული ქვეყნებია, მათი საკითხი შეიძლება უფრო იოლად გადაწყდეს. თურქეთს კი მუსლიმანობა აფერხებს. თუ თურქეთის მიღება გადაწყდა, აზერბაიჯანის მიღებაც გადაწყდება.

***— კონკრეტულად რა მიზანს ისახავდით საქართველოში ჩამოსვლით?***

— რას და, ახლა მეცნიერებზეა სიტყვა. ქართველმა მეცნიერებმა თეორიულად უნდა დაადასტურონ, რომ სრულიად მართალი იყო ზურაბ ჟვანია, როცა განაცხადა: „აი ემ ჯორჯიენ, აი ემ ევროპიენ“. ამ რეგიონში ყველაზე ძველი ეთნოსები ქართველები და სომხები არიან. კულტურის მხრივაც ბევრი რამ საერთო გვაქვს. თუნდაც მტკვარ-არაქსის კულტურა ავიღოთ. მან, სხვათა შორის, პალესტინას მიაღწია ძვ. წ. მესამე ათასწლეულში. ჯერ ასე შორს გავრცელდა, შემდეგ კი კავკასიაში შეიკრა საქართველო-სომხეთის წრეზე.

ჩამოვედი, რათა ქართველ მეცნიერებს შესასწავლად მივაწოდო იდეა, რომ ქართველებიც ინდოევროპელები არიან.

***— კი მაგრამ, რის საფუძველზე?***

— არის საფუძველი. თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერების ინსტიტუტში ჩემს წინადადებას ინტერესით შეხვდნენ. მოდით, მე ვუთხარი, შევქმნათ მეცნიერთა რეგიონული ჯგუფები, რომლებიც ამ საკითხებზე იმუშავებენ. არქეოლოგთა, ანთროპოლოგთა, ენათმეცნიერთა და სხვათა დარგების მონაცემების ძალიან სკრუპულოზური შეჯერებაა საჭირო.

ეს ჰიპოთეზა გადაუჭრელი დარჩება, თუ ქართველი მეცნიერები არ ჩაებმებიან ამ საქმეში. პოლიტიკური წრეებიც უნდა ჩაებან, რადგან თვით საკითხს აქვს დღეს პოლიტიკური ელფერი — ინდოევროპულ ხალხთა ჯგუფში ამა თუ იმ ეთნოსის შეყვანა გარკვეულად პოლიტიკური საკითხიც არის. ახლა სწორედ დროა, გადაწყდეს თურქეთის ევროკავშირში შესვლა. და ღმერთმა ქნას, გადაწყდეს. ამით ევროპის სამხრეთი საზღვარი თურქეთი გახდება. და აუცილებლად დადგება სამხრეთ კავკასიის საკითხი. ევროკავშირი ევროსაბჭო არ არის, სადაც სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკა უკვე შედის. ევროკავშირში შესვლა ევროპის სახლში ჩვენი ნამდვილი შესვლა იქნება.

* * *

**აი ასეთი იდეებით ჩამოვიდა ბატონი ალექსანდრ ვარპეტიანი თბილისში საფრანგეთიდან. მისი მოსაზრება ალბათ საკამათოა, თანაც აშკარად იკვეთება პრაქტიკული მხარე — საქართველოს მოშველიებით გადაიჭრას ევროკავშირში სომხეთის შესვლა. ოღონდ ეს აშკარად დაინტერესებული მოსაზრება თვით ჰიპოთეზას ქართველთა ინდოევროპელობის შესახებ ხელს არ უშლის. იქნებ ღირს, ამის თაობაზე ჩვენმა მეცნიერებმა კიდეც ერთხელ, ათასმეერთედაც თქვან ავტორიტეტული სიტყვა?**

**ალეკო ასლანიშვილი**

## ხუთშაბათი, 10 ნოემბერი

**08.00** ქართ. მხ. ფილმი **"ლოლიტა"** (U) **09.00** "მთავარი" **10.00** სერიალი **"ანასტასია"** **11.00** დოკ. ფილმი "ჰელიკი- ატლანტიდის საიდუმლო" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ. "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი **"ქალი მუშკეტერი"** **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "მუმეზას კოვბოები" **16.15** სერიალი **"ნათლია-ბონანოს ახალგაზრდობა"** **17.00** სერიალი **"ადვოკატები"** **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **19.00** დოკ. ფილმი "მეფე სოლომონის ქვის ფირფიტა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი **"ანასტასია"** **22.00** სერიალი **"ადვოკატები"** **23.00** მხ. ფილმი **"ღამის ბადრაგი"** (U) **00.30** საინფ. გამოშვება

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავლი" **19.40** მრწამსი **20.05** კინოსეანსი **"თუში მეცხვარე"** **1**-ლი ს.

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი ობობა" **10.00** სერიალი **"ოცნების კოშკები"** **11.00** სერიალი **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** სერიალი **"გრძნობათა ტყვეობაში"** **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი ობობა" **16.00** სერ. **"მეამბოხე სული"** **16.50** სერიალი **"ოცნების კოშკები"** **18.30** პატრული **19.00** სერ. **"მეამბოხე სული"** **19.50** სერიალი **"გრძნობათა ტყვეობაში"** **22.00** "თავისუფალი თემა" **23.00** "ჯეობარი" **00.00** სერ. **"სიცრუის უდაბნო"** **01.00** მხ. ფილმი **"ვიდოკი"** (**18**) (ჟ. დეპარდიე) **03.10** პატრული

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.15** სერიალი **"საბრალო ნასტია"** **12.25, 13.15, 16.15, 17.10, 03.40** იმედის მელოდიები **12.40, 16.25** **ტვ**-მარკეტი **13.40** "გვაროვნული წყობილება" **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.30** ქრონიკა **15.20** სერიალი **"მოჯადოება"** **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** არტბულვარი **18.05** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **19.05** სერიალი **"მოჯადოება"** **20.55** სერ. **"საბრალო ნასტია"** **21.55** "მღერიან და ხუმრობენ ექიმები" **23.45** მხ. ფილმი **"ოცნება არგენტინაზე"** (15) (ა. ბანდერასი) **02.10** სერიალი **"შეხვედრის ადგილი უცვლელია"** მე-**4**ს.

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერ. **"ქვეყნის კიდეზე"** **10.30** მხ. ფილმი **"წმინდა წელიწადი"** (U) **12.35** ტელეჟურნალი "დები ტრევისი" **13.00** საფეხბურთო მიმოხილვა - ესპანეთი **13.45** კრიმ. სერიალი "CSI" **14.50** სერ. **"დიელი და პასკო"** **15.40** სერიალი **"კარაბინერები"** **16.40** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა"** **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **18.55** კლიპი აფხაზეთზე **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.15** სერ. **"ქვეყნის კიდეზე"** **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი **"კარაბინერები"** **21.45** კრიმ. სერიალი "CSI" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი **"მდიდარი რომ ვიყო"** (U) (მიშელ მუნცი) **00.15** მხ. ფილმი **"ცრურწმენა"** (**12**) (მარკ სტრონგი)

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 17.20** Style-TV **12.45** მხ. ფილმი **"უბრალოდ რაღაც დღესასწაულია"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი **"გეიმერი"** (არიელ დომბალი) **00.30** "ტვ-შოპი"

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია **"ჟანდარმი და უცხოპლანეტელი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.20** ბოევიკი "პარტნიორები" **13.00** ფანტასტიკა **"გემი-მოჩვენებანი"** **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი **"დანაშაულებათა სცენები"** **16.30** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "ჭიტა-ჭიტა" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.00** "მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" **23.00** "ექსკლუზივი" **00.15** მხ. ფილმი **"სილვია"**

◎ კონტაქტები

# ხამს სიყვარული მოყვრისა, უხვისა, უშურველისა

**ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სტუმრობდნენ ავსტრიის ქალაქ გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვალტერ გერჰარდი და ავსტრიის შტრიის რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ერნსტ ჰეკესი. ავსტრიელი სტუმრები სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა წარუდგინა და მათ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომები გადასცა.**

— გრაცის უნივერსიტეტთან თანამშრომლობას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თქვა ლადო ჭიპაშვილმა, მართალია ქართველ ექიმებს პროფესიონალიზმი არ აკლიათ, მაგრამ თანამედროვე აპარატურის ნაკლებობას კი განვიცდით. არადა, მედიცინის განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია. ახლახანს, 15 ქართველი ექიმი დაბრუნდა საქართველოში, რომლებმაც სტაჟირება გრაცის უნივერსიტეტის კლინიკაში გაიარეს. ისინი მართლაც მაღალი დონის პროფესიონალები არიან. დიდი მადლობა ჩვენს ავსტრიელ კოლეგებს გაწეული დახმარებისთვის.

შეხვედრაზე თსსუ რექტორმა, პროფესორმა ალექსანდრე თელიამ სტუმრებს მოკლედ მოუთხრო უნივერსიტეტის ისტორია და გააცნო სამომავლო გეგმები.

ვალტერ გერჰარდმა თავის მხრივ კმაყოფილება გამოთქვა თსსუ-სთან დამყარებული საქმიანი და მეგობრული თანამშრომლობის გამო, და აღნიშნა, რომ ის ქართველი ექიმები, რომლებმაც სტაჟირება მათთან, გრაცში გაიარეს, პროფესიისადმი უზომო სიყვარულითა და ინტერესით გამოირჩეოდნენ. მან მადლობა მოახსენა მასპინძლებს მოწვევისათვის და შემდგომი თანამშრომლობისთვის მზადყოფნა აღუთქვა.

ავსტრიელი კოლეგების დახმარებით, ქუთაისში აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი გაიხსნა, რომელიც ერნსტ ჰეკეს მიერ გამოგზავნილი თანამედროვე აპარატურით დაკომპლექტდა. ამიერიდან, ქუთაისში შესაძლებელი იქნება გულის რეკონსტრუქციული კვლევების კომპიუტერული ტომოგრაფის გამოყენება და სხვა მანიპულაციები.

**ბელა ლომთაძე**

## განცხადება

2005 წლის 12 დეკემბერს გაიმართება სააქციო საზოგადოება თბილისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს აქციონერთა საერთო კრება

**დღის წესრიგი**

**1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის შესახებ.**

**მისამართი: თბილისი, კახეთის გზატკეცილი № 53.**

**დ. ქორჩილავა,**
**სს თბ. № 4 სატვირთო ასს-ს დირექტორი**

## განცხადება

**მიმდინარეობს შპს „ფარმაკონის“ ლიკვიდაცია.**

დაინტერესებულ პირებს (სავარაუდო კრედიტორებს) შეუძლიათ მიმართონ საწარმოს ლიკვიდატორს ქალბატონ თამარ კალმახელიძეს, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №25.**

◎ რეალობა

# ხალხი იყვლიფება, ბიუჯეტში კი ერთი თეთრიც არ შედის...

## „სტაიანშჩიკები“ გაუქმდნენ, „სტაიანშჩიკები“ დგანან

**იმ დღეს მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა. იძულებული გავხდი, ბენზინის უკანასკნელი მარაგი დამეხარჯა და პურის საყიდლად მაღაზიაში მანქანით წავსულიყავი. ავტომანქანიდან თავის გამოყოფაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემ წინ ერთიანად გალუმპული „სტაიანშჩიკი“ აისვეტა.**

**— აი იქით, ქუჩის კუთხეში გააჩერეთ ბატონო, მოყუჩებულ ადგილზე, — მირჩია.**

**— რა მნიშვნელობა აქვს, — შევეპასუხე, — სპექტაკლის საყურებლად კი არა ვარ მოსული, პურს ავიღებ და ახლავე გამოვბრუნდები.**

**— კი გამობრუნდებით, მაგრამ მანქანა დაგხვდებათ თუ არა, ამის გარანტია ხომ უნდა გქონდეთ?**

მივხვდი, რა გარანტიაზეც იყო საუბარი, ჯიბე მოვიქექე. ოცთეთრიანი გავუწოდე და მაღაზიაში გულდამშვიდებული შევედი.

პური კი გავინაღდე, მანქანაც გატაცებას გადავარჩინე, მაგრამ სადილად რომ არაფერი მაქვს? რაღას ვიზამდი, ბარემ საწვავს ვხარჯავდი და ბაზარშიც შევიარე.

როგორც წესი, „სტაიანშჩიკები“ აქაც თვალფხიზლად იდგნენ და მიმსვლელ-გამომსვლელ ავტომფლობელებს ცერებზე შემდგარნი ემსახურებოდნენ. ჯანდაბას, გავიფიქრე, ოღონდ მანქანა გავიყვანო საღსალამათი და ერთ ოცთეთრიანს აქაც გადავაგდებ.

— ახლავე, ბატონო, აი ის მანქანა გამოვა და ჩაგაყენებთ, — დამაიმედა თეთრთავა, ჩოფურა მამაკაცმა, რომელსაც „სტაიანშჩიკის“ ჯოხი კი ეჭირა, მაგრამ რატომღაც მზესუმზირის ყვავილივით ყვითლად გადაპენტილი ფორმა არ ეცვა.

— **ფორმა რა უყავით?** — შევეკითხე დაეჭვებულმა.

— შინ დამრჩა, ბატონო, — გაიღრიჭა.

**— მე კიდევ ფულის წამოღება დამავიწყდა.**

— კარგით ერთი, აბა, ბაზარში ჩემი მოსაცემი ოცი თეთრის იმედით შედიოდით?

მოსწრებული პასუხი კი მომეწონა, მაგრამ ისიც გამახსენდა, რომ ფორმა პურის მაღაზიის „სტაიანშჩიკსაც“ არ ეცვა და ეჭვი კიდევ უფრო გამიძლიერდა.

**— ფორმა არ გაცვიათ, არც სურათი გიკეთიათ,** — ვუთხარი, — **როგორ გენდოთ?**

— რას მატყობთ მაგნაირს, ბატონო, დღეში ას მანქანას მაინც ვისტუმრებ და იმათგან არც ერთი არ დამკარგვია.

**— ქვითარი მაინც რომ გქონდეთ...**

— ქვითარი საიდან მექნება, ყველაფერი წაგვართვეს — სამუშაო, ფორმა, მათ შორის ქვითრებიც.

**— ვინ წაგართვათ?**

— ჩვენმა უფროსებმა რაიონული ცენტრიდან, თავად მათი სამსახური გააუქმეს და ჯავრი ჩვენზეც იყარეს.



**— აბა როგორ მუშაობთ?**

— ლევად.

**— ესე იგი უკანონოდ?**

— აბა რა ვქნა, რაღაც ორ კაპიკს ვშოულობდი და მაგის საშუალებაც მომისპეს. სად წავიდე, თავი რით ვირჩინო? ფაბრიკა-ქარხნები აღარ მუშაობს, გამგებლად და მინისტრად კიდევ მე არავინ დამნიშნავს.

რა უნდა მეთქვა, თანავუგრძნე, მაგრამ თავადაც გაჭირვებული ვარ (რამდენიმე თვეა, ხელფასი არ ამიღია) და ოც თეთრზე მეტი ვერ მივეცი. ისე, საკითხით დავინტერესდი და ერთი-ორგან, ქალაქის გამგეობაში, დავრეკე:

**— თქვენთან, ბატონო, გარევაჭრობიდან და ავტოპარკირებიდან მოსაკრებლების სამსახური აღარ მუშაობს?**

— არა, გაუქმდა, — მიპასუხეს.

**— ამის თაობაზე უფრო ზუსტ ინფორმაციას ვინ მოგვცემს?**

— ქალაქის მერია.

არ დავიზარე, მერიაში ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსს ზვიად არჩვაძეს დავუკავშირდი და განმარტება ვთხოვე.

— კანონი, რომელიც ზაფხულში შევიდა ძალაში, გარევაჭრობაზე ლიცენზიის გაცემას კრძალავს და, შესაბამისად, ამ საქმიანობაზე მოსაკრებლებიც იკრძალება.

**— მაგრამ „სტაიანშჩიკები“ ხომ გარემოვაჭრეები არ არიან?**

— არა, მაგრამ ეგენიც მაგათ კატეგორიაში გავიდნენ.

**— მაშინ ქუჩის ყველა კუთხეში რატომ დგანან და მოქალაქეებს ფულსა სძალავენ?**

— ეს უკვე დანაშაულია და მათ გაყვანაზე პოლიციამ უნდა იზრუნოს.

ამის თაობაზე პატრულს რომ ვუთხარი, გაეცინა:

— ვიღაცა მანქანის ყარაულობაში ოც თეთრს აიღებს, ეგ ჩემი საქმე არ არის, — მითხრა მან, — აი თუ ვინმე თავად მანქანას გაიტაცებს, იმას კი დედას ვუტირებ...

აი ასე, გამგეობას თავისი საქმე აქვს, მერიას — თავისი, რომ აღარაფერი ვთქვათ საპატრულო პოლიციაზე, ხალხი კი იყვლიფება, თანაც ამ თანხიდან ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შედის.

ადრე იყო ლაპარაკი, რომ ავტომფლობელებისთვის მომსახურება უფრო სხვა ფორმით, თანამედროვე ცივილიზებულ დონეზე უნდა გადაწყვეტილიყო. ეს არ მოხდა, პირიქით, კანონმა უმუშევრების — ეგრეთ წოდებული უმუშევარი (მაგრამ „ლევად“ მომუშავე) „სტაიანშჩიკების“ ახალი ფენა შექმნა, რომელიც თავი რომ ირჩინოს, კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ეწევა.

ერთი სიტყვით, დედაქალაქის ქუჩებში (იქაც, სადაც ასფალტი დაიგო და შადრევნები გაიხსნა და იქაც, სადაც ჯერ კიდევ ფეხ-კისრის მოსატეხი ორმოებია) განუკითხაობის კოცონი ანთია, რომელზეც ვიღაც-ვიღაცეები ხელსაც ითბობენ და ჯიბესაც.

როგორც ვიცი, დღეს თბილისში 150 ათასამდე მსუბუქი ავტომანქანა მოძრაობს. ვინმემ დაითვალა, მათი მფლობელები დღეში რამდენგან აჩერებენ მანქანას და რამდენ ოცთეთრიანს (ზოგი ორმოცდაათიანსაც) ისვრიან ბიუჯეტის გვერდის ავლით? არავინ.

თანაც ყოველდღე ახალ-ახალი ავტოსადგომები იჩეკება. ერთი ასეთი მეტრო „რუსთაველის“ გვერდით, ქვიტკირის მაღალ კედელზე მიშენებულ კაფე-მაღაზიების წინაც გაჩნდა. სხვათა შორის, აქაურ „სტაიანშჩიკს“ ფორმაც აცვია და ერთობ თავმომწონედაც გამოიყურება:

— ეს სადგომი კერძოა, მაღაზიას ეკუთვნის და სხვა არავისთან პასუხისმგებელი არა ვარ, — განმიცხადა მან, როცა ავტოსადგომის წარმომავლობით დავინტერესდი.

ასე თუ გაგრძელდა, მალე კერძო ავტოსადგომები, შეიძლება, სამიკიტნოების, საუნა-ბორდელებისა და საპირფარეშოების მეპატრონეებმაც გახსნან (თუ უკვე გახსნილი არა აქვთ)...

ეს რეალობაა.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ მიწისძვრა ჩვენს სულებში

# „აივანი რომ ჩაინგრეს, ვიღაცას შეიწირავს“,

## — ჩივიან ფიროსმანის ქუჩაზე მცხოვრებნი...

**ერთ დროს ამ ქუჩაზე დიდი ნიკო ფიროსმანი ცხოვრობდა, სხვათა შორის, — კიბის ქვეშ...**

**უცნაური ქვეყანაა საქართველო: აქ შეიძლება ფიროსმანის დარმა მხატვარმა გაჭირვებაში დალიოს სული, წმინდა ილია მართალს ტყვიით შუბლი გაუხვრიტონ, ბერბიჭაშვილის მსგავსნი კი ილიაობაზე დებდნენ თავს...**

მაგრამ დღეს ჩვენ ვისაუბრებთ არა დიდ ადამიანებზე, არამედ უბრალო მოქალაქეებზე, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ და, რომლებიც 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრამ დააზარალა...

**ეთერ ბოლქვაძე** ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობს, 27-ე ნომერში. მიწისძვრამ მისი ბინა იმდენად დააზიანა, რომ ერთ-ერთი ოთახის ღრიჭოდან მეზობელს თავისუფლად ელაპარაკება, უფრო მეტიც — ხედავს კიდეც. ასე რომ, მას არ სჭირდება ძველი თბილისური ეზოებისთვის დამახასიათებელი გრძელი კიბის ავლა, რათა თავის მეზობელს გაესაუბროს ან რაიმე მიაწოდოს — ეს ამ ნაპრალიდანაც კარგად ხერხდება. უფრო მეტიც — თუ ზემოთ აიხედავთ, აქ ჭერიდან ცის დანახვაც შეიძლება!

— შიშისგან ფანჯარას ვერ ვწმენდ, — ამბობს ქალბატონი ეთერი, — მეშინია, კედელი არ გადავარდეს და არ გადავყვე. მიწისძვრის შემდეგ შემომთავაზეს: 100 ლარს (SIC!) გადაგიხდით თვეში და ბინა იქირავეთო. მოპირდაპირე მხარეს მრავალსართულიან სახლს ავაშენებთ და იქ შეგასახლებთო, მაგრამ ვერ ვენდეთ. თანაც ავეჯი მაქვს, წლობით ნაგროვები ნივთები სად წავიღო?

**— მე მაქვს ინფორმაცია, რომ ბევრ მიწისძვრით დაზარალებულს შესთავაზეს ბინა გარეუბანში და ისინი არ წავიდნენ.**

— აქედან არავინ არ წავა ფონიჭალაში ან ლილოში. არაფერი არ მინდა, უბრალოდ კედელი გაამაგრონ, რომ არ დაინგრეს. ზოდელავას დროს მოვიდნენ და ჭერი გაამაგრეს, თორემ თავზე მაწვიმდა. კიდევ კარგი, ჩემთან განაპირა ოთახი და აივანია დაზიანებული, სხვა ოთახებში მხოლოდ ბზარებია გაჩენილი. სულ მეშინია, აივანი არ ჩაინგრეს, მაგრამ როგორ ამოვიღო ხმა, როცა სხვა ჩემზე უარეს დღეშია?!



**ნელი ნოზაძე** იმავე ეზოში ცხოვრობს. ისიც გულისტკივილით აღნიშნავს, რომ არავინ მოდის, არავინ არის მათი პატრონი:

— ძალიან ცუდ დღეში ვართ. მიწისძვრის მეორე დღეს მოვიდა ვანო ზოდელავა. მხოლოდ ერთხელ დამეხმარნენ 30 ლარით. ეს იყო და ეს... შეიძლება ერთ „მშვენიერ“ დღეს სახლი დაინგრეს. შვილიშვილებსაც კი ვერ ვტოვებ შიშით ჩემთან. გვინდოდა, ქუჩა გადაგვეკეთა, რომ აქ ტრანსპორტს არ ემოძრავა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. მანქანა რომ ჩაივლის, მთელი სახლი ირყევა. არადა, აივანი რომ ჩაინგრეს, შეიძლება, ვინმე იმსხვერპლოს — ხალხი მიდი-მოდის, მანქანები დადიან!

**ელზა გოჩიტაშვილი** 29-ე ნომრის მკვიდრია. სახლი 200 წლის წინათ არის აგებული. (სხვათა შორის, სწორედ ამ ეზოში ცხოვრობდა ნიკო ფიროსმანი).

გოჩიტაშვილებს 2 პატარა ბავშვი ჰყავთ სახლში და თანახმა იყვნენ, გადასულიყვნენ.

— შენ წადი, მოძებნე ბინა, ფულს ჩვენ გადაგიხდით და დროებით საცხოვრებლად გაგიფორმებთო“ — მითხრეს. „ვაზისუბანში ვნახე ერთოთახიანი, ოთახნახევრად გადაკეთებული. 4500 დოლარი დამიფასეს. 3000 დოლარზე მეტს ვერ გადაგიხდითო და რა უნდა გვექნა, დავრჩით ისევ ამ ბინაში.

**მარიამ მიქაძე** მოპირდაპირე ეზოში ცხოვრობს, ფიროსმანის ქ. № 46-ში.

— მიწისძვრის შემდეგ სახლი მთლიანად დაიბზარა. მეტი რა გზა იყო, ჩვენ თვითონვე შევაკეთეთ.

სახლი მიწისძვრის შემდეგაც საშინლად ზანზარებდა, თურმე მეტროს მიზეზი ყოფილა. აქვე, ახლოს, ფოცხვერაშვილის ქუჩაზე, მეტროპოლიტენის სადგური გადის თურმე, ვაგზალიც აქვეა და ყოველი მატარებლის გასვლისას სახლი აკვანივით ირწევა...

დაახლოებით იმავე მდგომარეობაში არიან ნონიაშვილები, ფრანგიშვილები და სხვები...

**— გადახვალთ თუ არა საცხოვრებლად გარეუბანში?“ — ვეკითხები მარიამ მიქაძეს.**

— ვერ გადავალ, იმიტომ, რომ ვიცი, იმ გარეუბნის ბინაც არ იქნება ჩემი საკუთრება. ვინ მომცემს გარანტიას, რომ აქ რაიმეს ააშენებენ და უკან დამაბრუნებენ? ნაძალადევის რაიონში რომ სახლები დაინგრა, ის ხალხი ნევროლოგიის ინსტიტუტში შეასახლეს. მე ვერ ვიცხოვრებ ვერც ქირით, ვერც სასტუმროში და ვერც საავადმყოფოში. გაამაგრონ ეს სახლები და აქ ვიცხოვრებთ“, ამას იმეორებს ყველა, ვინც დიდი ნიკო ფიროსმანის სახელობის ქუჩაზე ცხოვრობს.

არადა, ყველა ოჯახს სახლში უდევს სამშენებლო მექანიკისა და სეისმოლოგიური ინსტიტუტის დასკვნა, სადაც, რომ იტყვიან, შავით თეთრზე წერია: **„ეს სახლები არ ექვემდებარება გამაგრებას. ექსპლუატაციისთვის საშიშია და მიზანშეწონილია მაცხოვრებლების ევაკუაცია“ (!)**

გამოსავალი სად არის? — ამის გარკვევა, ძვირფასო მკითხველო, დღევანდელი მერიისთვის მიგვინდვია.

**ხათუნა ჩიგოგიძე**



◎ ფეხბურთი

# ხუთი უცნობი

**ესპანეთი — სლოვაკეთი, ნორვეგია — ჩეხეთი, შვეიცარია — თურქეთი, ურუგვაი — ავსტრალია, ბახრეინი — ტრინიდადი და ტობაგო. ეს ის წყვილებია, ორრაუნდიან დუელში რომ გაარკვევენ 2006 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დარჩენილი ხუთი საგზურის მფლობელებს (12 და 16 ნოემბერს). რა შეიძლება ითქვას თითოეულ მათგანზე?**

**ესპანეთი — სლოვაკეთი.** ლუის არაგონესის გუნდმა უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს და, ზედიზედ მეორედ, უმაღლესი ფორუმისკენ გზის გაკვალვა დამატებითი შეხვედრებით მოუწევს (შეგახსენებთ, რომ წინა ცდა წარმატებით დასრულდა და ესპანელებმა ნორვეგიის ნაკრებს ორივე მატჩი მოუგეს — 1:0 და 3:0). მაინც, რამ გამოიწვია წლევანდელი დამუხრუჭება? უპირველესად, შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებულის — სერბეთის გუნდის ღირსებებმა. ყველა რგოლში სრულფასოვანი შემსრულებლებით დაკომპლექტებულმა ბალკანურმა უძლეველმა არმადამ 10 შეხვედრაში მხოლოდ 1 (!) გოლი გაუშვა, წინა ხაზზე კი, ტრადიციისამებრ, კეჟმანი ბრწყინავდა. რასაკვირველია, მეტოქის სიძლიერის ფაქტორი გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „პლეი-ოფში“ მოხვედრას კარგა გვარიანად თვით ესპანელთა თავკაცის მიერ მთელ რიგ შეხვედრებში შერჩეულმა ფრთხილმა ტაქტიკამ და გაუთავებელმა ტრავმებმა შეუწყო ხელი. და კიდევ — გუნდის ქარიზმატულ ფიგურას რაულს თანდათან ასაკი ემატება, რაც მის შედეგიანობაზეც პოულობს ასახვას.




ქებას იმსახურებს სლოვაკეთის ნაკრები, რომელიც ხანმოკლე ბიოგრაფიის განმავლობაში პირველადაა „მუნდიალის“ ზღურბლთან. გუნდის უპირობო ლიდერია „ნიურნბერგის“ ლეგიონერი მარეკ მინტალი, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ დანარჩენებს ოსტატობა ან შემართება აკლიათ. ეს რომ ასეა, რუსებთან გადამწყვეტ შეხვედრაში დადასტურდა, სადაც ტარვმირებული ბომბარდირის არყოფნაში მასპინძლებმა სასურველი შედეგი — 0:0 გამოჭედეს და უდავო უპირატესობასაც ფლობდნენ.

**ნორვეგია — ჩეხეთი.** ჩეხებს ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, რომ ნებისმიერ სხვა ჯგუფში ფავორიტობას გასწევდნენ, მაგრამ მათი ბრალი სრულიადაც არ გახლავთ, რომ კენჭისყრამ ჰოლანდიელებთან ერთად გაამწესა. მომავალი ბატალიების წინ ამ გუნდმა სერიოზული შევსებაც მიიღო — ხანმოკლე განშორების შემდეგ ეროვნულ ნაკრებს თვით პაველ ნედვედი დაუბრუნდა.

ამ ფონზე მოკრძალებულად გამოიყურებიან მობერებული ვიკინგთა შთამომავლები, თუმცა მათი ჩამოწერა, ალბათ, მაინც ნაადრევია — ბოლოს და ბოლოს, შესარჩევ ციკლში სლოვენიელთა და შოტლანდიელთა ჩამოტოვება, დაგვეთანხმებით, რაღაცას ნიშნავს. დაუმატეთ ამას „ლიონში“ ბრწყინვალედ მოთამაშე კარეუს ფაქტორიც და... მიხვდით, ხომ, რასაც ვგულისხმობთ.

**შვეიცარია — თურქეთი.** კობი კუნის გაწვრთნილი ნეიტრალური ქვეყნის ნაკრები ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა ჯგუფში გამარჯვების შანსს, თუმცა უკანასკნელ მომენტში მცირედით თვით ფრანგებს ჩამორჩა. ეს, რა თქმა უნდა, შვეიცარიელთა ჭეშმარიტ შესაძლებლობებს უსვამს ხაზს.

თურქები, მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების მეტოქეები იყვნენ შესარჩევ ჯგუფში და კარგა ხნის განმავლობაში ჩრდილში იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ მწვრთნელის შეცვლამ მათზე სასიკეთოდ იმოქმედა — სწორედ „შოკური თერაპიის“ განხორციელების შემდეგ მოხვეტეს ის ქულები, გერმანიაში გამგზავრების შანსი რომ შეუნარჩუნათ.

**ურუგვაი — ავსტრალია.** ეს გუნდები ოთხი წლის წინათაც ამავე ეტაპზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ სამხრეთამერიკელებმა იმარჯვეს — 0:1 და 3:0. ვფიქრობთ, რეკობა და მისი პარტნიორები წლეულსაც ფავორიტებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, ვინ იცის...

**ბახრეინი — ტრინიდადი და ტობაგო.**

აი, ამ წყვილში რა მოხდება, ამას ვერავინ გამოიცნობს. ეგზოტიკურ სახელმწიფოთა შვილების მომავალ შეხვედრებს ისეთი ინტრიგა ახლავს თან, თვით ტოტალიზატორთა და საბუკმეიკერო კანტორათა მესვეურებიც კი იმტვრევენ თავს. ჰოდა, მეტი რაღა უნდა ფეხბურთის ქომაგს?

**გია პლატონიშვილი**

◎ ჭადრაკი

# ზედიზედ მეორედ მოიგეს

**ისრაელში, მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა საქართველოს ნაკრებმა. ამჯერად ჩვენმა დიდოსტატებმა მასპინძლებს აჯობეს — 2,5:1,5. მესამე დაფაზე ლევან ფანცულაიამ შავებით ევროპის ჩემპიონი ემილ სუტოვსკი**



**დაამარცხა. ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა და მიხეილ მჭედლიშვილი, შესაბამისად, ბორის გელფანდს, ილია სმირინს და ბორის ავრუხს დაუზავდნენ.**

წარმატებას მიაღწიეს ჩინელებმა, რომლებმაც ამერიკელებს მოუგეს 3,5:0,5, მოაგროვეს 19,5 ქულა და 6 მატჩის შემდეგ უახლოეს მდევარს — რუსეთის ნაკრებს, რომელიც მე-7 ტურში ისვენებდა, 4 ქულით უსწრებენ. სომხებმა ჩინელი ქალები დაამარცხეს 3:1 და 14 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლეს.

**გიორგი გაგუა**

◎ ფაქტი

# პრეზენტაცია ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილებით

**ბულგარეთის ჭადრაკის მესვეურებმა მიიღეს გადაწყვეტილება სოფიის სუპერტურნირის ყოველწლიურად მოწყობის შესახებ. პირველი ასეთი შეჯიბრება წელს მაისში ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონის ვესელინ ტოპალოვის გამარჯვებით დამთავრდა, ამიერიდან კი მისი მეურვე თვით ქვეყნის პრეზიდენტი იქნება. იგი ორ წრედ იმართება 6 დიდოსტატის მონაწილეობით.**

და აი, ამ დღეებში გაიმართა სოფიის 2006 წლის ტურნირის პრეზენტაცია. გამოცხადდა, რომ მასში ითამაშებენ ტოპალოვი, ანანდი (ინდოეთი), სვიდლერი (რუსეთი), ივანჩუკი (უკრაინა), ბაკრო (საფრანგეთი) და კასპაროვი (რუსეთი).

როგორც კი კასპაროვს ამ პრეზენტაციის შესახებ შეატყობინეს, მან განაცხადა, რომ არ ითამაშებს, რადგან ჭადრაკს სამუდამოდ თავი დაანება!

◎ ჩვენებურები

# ბევრი ქართველი

**დამთავრდა შეჯიბრება რუსეთის მეორე დივიზიონის სამხრეთ ზონაში, სადაც გაიმარჯვა ნაზრანის „ანგუშტმა“. მის შემადგენლობაში გამოირჩეოდა ქართველი ნახევარმცველი ჯოხაძე.**

საერთოდ, ამ ზონის თითქმის ყველა გუნდში ქართველი ფეხბურთელები წარმატებით გამოდიოდნენ: ხურცილავა (დონის როსტოვის სკა), ბედოიძე (ვლადიკავკაზის „ავტოდორი“), ფრუიძე, მიქაძე (ორივე — „სოჭი-4“), სახვაძე (ანაპის „სპარტაკი“), ქერდიკაშვილი (პიატიგორსკის „მაშუკი“).

◎ უარი

# იმედი ნუ ექნებათ!

**ამას წინათ ვლადიკავკაზის „ალანიისა“ და გროზნოს „თერგის“ მესვეურებმა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას მიმართეს თხოვნით გაისად პრემიერ-ლიგის შემადგენლობის 16-დან 18 კლუბამდე გაზრდის შესახებ. ამ შემთხვევაში მათ 2006 წელს ისევ უმაღლეს ლიგაში გამოსვლის საშუალება მიეცემათ.**



უარყოფითმა პასუხმა არ დააგვიანა. აი, რა განაცხადა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ:

— ამ ინიციატივას გამარჯვების თუნდაც მცირედი შესაძლებლობაც კი არა აქვს. ეს რომ გავაკეთოთ, გაისად უკვე უმაღლესი ლიგის 20 კლუბამდე გაზრდას მოითხოვენ, ეს კი სრული უაზრობა იქნება.

◎ სპორტულ ორბიტაზე

## რუსეთის ნაკრები — უმწვრთნელოდ

**რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ დააკმაყოფილა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის იური სიომინის თხოვნა პოსტიდან გადადგომის შესახებ. ცნობილი მწვრთნელი მუშაობის გაგრძელებას რომელიმე კლუბში აპირებს.**

როგორც მუტკომ განაცხადა, მან ვერ შეძლო, გადაეთქმევინებინა სიომინისთვის ასეთი გადაწყვეტილება. ხოლო, თავად სიომინის თქმით, ქვეყნის ნაკრებთან მუშაობა მისთვის დიდი პატივი იყო, მაგრამ ახლა აპირებს საკლუბო მუშაობას.

არაოფიციალური ინფორმაციით, სიომინის უკვე აქვს რამდენიმე კლუბის შეთავაზება, მათ შორის მოსკოვის „დინამოსიც“, თუმც გამორიცხული არ არის ისევ „ლოკომოტივში“ დაბრუნების ვარიანტიც.

მუტკოს განცხადებით, დაიწყო



მიზანმიმართული ძიება ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელისა. მისივე განმარტებით, მთავარი მწვრთნელობის კანდიდატისათვის მის ეროვნულობას პრინციპული მნიშვნელობა არ ექნება.

## თურქი ძალოსნები ჩემპიონატზე არ დაუშვეს

**ჩვენ ჯერ კიდევ სექტემბერში ვწერდით, რომ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IWF) დოპინგის გამოყენებისთვის მკაცრად დასაჯა თურქეთის ნაკრების**



**რამდენიმე წამყვანი წევრი და თავად ნაკრებს აუკრძალა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა, რომელიც გუშინ დაიწყო კატარის დედაქალაქ დოხაში.**

თავდაპირველად აკრძალული ნივთიერებების გამოყენებისთვის ორი წლით აუკრძალეს ასპარეზობა სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ხალილ მუტლუს. შემდეგ დოპინგკონტროლზე უარი თქვა ნაკრების რამდენიმე წევრმა — მათ შორის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულმა ტანირ საღირმა.

ახლა თურქეთის ნაკრებს მოელის ორწლიანი დისკვალიფიკაცია, რაც ჩემპიონატის მიმდინარეობისას უნდა გადაწყვიტოს ფედერაციის აღმასკომმა.

## 15 ათასი დოლარი ეყოფათ?

**რუსეთის ფიზკულტურისა და სპორტის ფედერალურმა სააგენტომ სამთო მოთხილამურე ვაჟთა ოლიმპიური ნაკრების მოსამზადებლად მხოლოდ 15 ათასი დოლარი გამოყო.**

როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ მაკაევმა განაცხადა, ის ვერ მისცემს მტკიცე სამედალო გარანტიებს, რადგან რუსეთში არაა სათანადო ტექნიკური ბაზა, ევროპაში მომზადება კი ძვირი ჯდება, თანაც ავსტრიის, იტალიის და შვეიცარიის უძლიერესი გუნდების მსგავსად არ შეუძლიათ მზადება ახალ ზელანდიაში, ჩილესა და არგენტინაში.

ამ ფულით არ შეიძლება კონკურენტუნარიანი გუნდის მომზადება. ისე რომ, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული მე-14, მე-18 და 22-ე ადგილები სრულიად ღირსეული შედეგია — ამბობს მწვრთნელი.

ოლიმპიურ თამაშებზე ტურინში სამთო სათხილამურო სპორტში მედლების 10 კომპლექტი გათამაშდება.

## კრივი — ციხეში

**იაპონელმა ნანაკო კიკუჩიმ სამშაბათს ღამით მოიპოვა კრივში ქალთა შორის WBC სერიის პირველი უმჩატესი წონის ჩემპიონის ვაკანტური ქამარი. მან მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ტაილანდელი ნონგმაი სორ სირიპორნი. საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართა ციხის სპორტულ მოედანზე, სადაც ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობისთვის 6-წლიან პატიმრობას იხდის ტაილანდელი სპორტსმენი ქალი.**



თავდაპირველად ტაილანდელის მეტოქე უნდა ყოფილიყო 24 წლის ამერიკელი კარინა მორენო, მაგრამ ბოლო მომენტში ის რატომღაც შეცვალეს.

„ჩვენ გვინდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ იცოდეს — ჩვენ ადამიანის უფლებებს პატივს ვცემთ ციხეებშიც კი, — განმარტა ამ ორთაბრძოლის ციხეში გამართვის მიზეზი ტაილანდის გამასწორებელი დაწესებულებების დეპარტამენტის თავკაცმა ნატი ჩიტსავანგმა, — ჩვენ ვავითარებთ სპორტს და პატიმრებს პროფესიების მიღების საშუალებას ვაძლევთ, რათა განთავისუფლებირს შემდეგ ადვილად შეეგუონ ცხოვრებასა და საზოგადოებას“.



## სანამ მენდელსონის მარში აჟღერდებოდეს

**ქორწილი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია ყოველი ადამიანის ცხოვრებაში. თავიანთთვის საცოლის ან საქმროს არჩევა ყველაზე მეტად უჭირთ სპორტსმენებსა და შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებს. ისინი ძალზე დაკავებულნი არიან თავიანთი კარიერის პრობლემებით და სხვა რამისთვის დრო აღარ რჩებათ. ამიტომაც დიდ იმედს შვებულებებზე ამყარებენ. იშვიათი როდია, როცა რომელიმე პლაჟზე დაწყებული ნაცნობობა ქორწილში გადაიზრდება ხოლმე. ასე მოხდა, მაგალითად, იტალიური კლუბის „ფიორენტინას“ 28 წლის თავდამსხმელის ლუკა ტონისა და 29 წლის მოდელის მარტა ჩეჩეტოს ურთიერთობაში.**

„მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მზადა ვარ ქორწინებისთვის. ამიტომაც მარტასთან ერთად ახლო ხანში დავიწყებთ ქორწილისთვის სამზადისს. ძალზე მდიდრულად ის არ იქნება, რადგან არ მიყვარს მთელი ეს პათოსი“, — აცხადებს ფეხბურთელი.

მარტაც მოუთმენლად ელის ქორწილს. „როგორც კი ის დავინახე, გულმა მაცნობა, რომ ის ჩემი ბედია. ის მთელი ჩემი ცხოვრების ადამიანია“, — თქვა მარტამ.

## მადლიერება

# თქვენ გვაჩუქეთ მარადიული მოსაგონარი

### ეთნოლოგი სტუდენტების წერილი ზურაბ წერეთელს



**ცნობილი ქართველი მხატვრის ზურაბ წერეთლის მეცენატობით დაიწყო ისტორიული საქართველოს — ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული შესწავლა. წლეულს მოეწყო თურქეთში სტუდენტ-ეთნოლოგთა პირველი გასვლა, რამაც მნიშვნელოვანი სამეცნიერო მასალა გამოავლინა. ამის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ფოტოგამოფენა „ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.**

**რედაქციაში მოვიდნენ მოგზაურობის მონაწილე სტუდენტები და გვთხოვეს გამოგვექვეყნებინა მათი მადლიერების წერილი ზურაბ წერეთლისადმი.**

**ვასრულებთ ახალგაზრდების სურვილს.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ეთნოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და ასპირანტებს თქვენი მოსკოვში ყოფნის გამო, საშუალება არ მოგვეცა პირადად გადაგვეხადა მადლობა, ამიტომაც გადავწყვიტეთ საჯაროდ, ღიად გვეთქვა სათქმელი.

ბატონო ზურაბ, ჩვენთვის თქვენ კეთილშობილებისა და უანგარობის მაგალითი ხართ. თქვენ ხომ უჩუმრად, უხმაუროდ მეცენატობთ ქართველოლოგიურ მეცნიერებას, ხალხურ კულტურას, იმ ფესვებს, რომელზეც ამოიზარდა თქვენი შემოქმედება.

თქვენ მოგვეცით იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა დაფასდეს მასწავლებლის ამაგი გიორგი ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულის გამოცემით, რომელიც დღეს ჩვენი სამაგიდო წიგნებია და ერთადერთი სახელმძღვანელო საქართველოს ეთნოლოგიაში.

ქართველი ხალხის ისტორიის და დიდი ქართველი მოღვაწეების უკვდავყოფა „საქართველოს მატიანეს“ მემორიალშიც ხომ სამშობლოსათვის გაწეული თქვენი დიდი საქმიანობის ნაწილია და რაოდენ საკვირველია დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის ფონზე, რომ მრავალწლიანი შრომით და საკუთარი ხარჯებით უნიკალურ კომპლექსს საჩუქრად აშენებთ ქართველი ხალხისთვის.

ან თქვენი თანადგომა ქართველი სტუდენტობისადმი განა ერთი სამადლობელი სიტყვით გამოიხატება?

ქვეყნისათვის ყველაზე შეჭირვებულ წლებშიც, თქვენი თანადგომით ჩვენ არ შეგვიწყვეტია საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლა. წლეულს კი აგვისრულეთ მიუწვდომელი ოცნებაც: პირველად შედგა ეთნოგრაფიული მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში.

„საუკუნეა გელოდებით — გვითხრა მთის წვერზე მიმალული, ულამაზესი ქართული სოფლის ბაზგირეთის მკვიდრმა, ასწლოვანმა „ნენემ“ — ვინ მადლიანმა მაჩვენა თქვენი თავიო“.

ეს სიტყვები თქვენ გეკუთვნით ბატონო ზურაბ. სწორედ თქვენი მადლით ვიარეთ ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე, გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის ნაკვალევზე, გავოგნდით ტაოსა და იშხანის სიდიადით და ქართული გენის გამძლეობით.

გმადლობთ, ბატონო ზურაბ, რომ გვაჩუქეთ მარადიული მოსაგონარი — ამ ზაფხულის საქმიანი და ბედნიერი დღეები.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი იმ მამულიშვილურ საქმიანობაში, რომელსაც საქართველოსათვის ეწევით.



**პატივისცემით**
**ტაო-კლარჯეთში ეთნოგრაფიული მოგზაურობის მონაწილე სტუდენტი ეთნოლოგები.**

**სურათზე** სტუდენტები ნევეკელ გურჯებთან ერთად.

## კრიმინალი

### არასრულწლოვანი გამომძალველი

**გუშინ,** გამთენიისას სამართალდამცველებმა წყალტუბოს სოფელ ოფშკვითის სასაფლაოზე არასრულწლოვანი თორნიკე ჭოლაძე დააკავეს. მას ბრალი მისივე თანასოფლელის ნელი ნუცუბიძის წინააღმდეგ განხორციელებულ მუქარასა და ფულის გამოძალვაში ედება. 16 წლის თორნიკე ჭოლაძემ 8000 აშშ დოლარი ნელი ნუცუბიძეს მუქარით გამოსძალა და აიძულა ეს თანხა მისი ნათესავის სასაფლაოზე დაემარხა. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ლევან კახიანმა განაცხადა, რომ სამართალდამცველები ჭოლაძეს ექვსი დღის მანძილზე დარაჯობდნენ. იგი ფულის ამოსათხრელად გუშინ დილით გამთენიისას მივიდა, თორნიკე ჭოლაძე წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

### ძალადობა საბერიოში

**გალის** რაიონის სოფელ საბერიოდან 8 ნოემბერს გვიან ღამით ხუთმა ნიღბიანმა შეიარაღებულმა 70 წლის რევაზ ჯახაია გაიტაცა. წინასწარი ინფორმაციით, რევაზ ჯახაიას გამტაცებლები ოჯახისგან 70 ათასი დოლარის გადახდას ითხოვენ. რევაზ ჯახაიას შეიარაღებული პირები მის საცხოვრებელ სახლში თავს დაესხნენ და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს.

რევაზ ჯახაიას ვაჟი ზუგდიდში მცირე ბიზნესით არის დაკავებული, გახსნილი აქვს ავტომანქანების პროფილაქტიკა, ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ამით აიხსნება მისი მამის გატაცება. იგი კომენტარზე უარს აცხადებს. მას ჯერჯერობით არ მიუმართავს სამართალდამცავი ორგანოებისთვის. მიუხედავად ამისა, ამ გატაცების შესახებ უკვე ცნობილი გახდა ოთხმხრივი საგამოძიებო კომისიის ქართველი წევრებისთვის.

**ინტერპრესნიუსი**

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— გთხოვთ, განმიმარტოთ, როცა მომუშავე ან სტუდენტ დედას ბავშვის მოვლა არ შეუძლია და მის მაგივრად ოჯახი გადაწყვეტს ბავშვს ბებიამ მიხედოს, ითვალისწინებს თუ არა რაიმე გარანტიას ბავშვის ფაქტობრივი მომვლელის მიმართ კანონი?**

**ლერი აბდუშელიშვილი.**

— საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე სამოცდაათი კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი (გართულებული მშობიარობის, ორი ან მეტი ბავშვის შეძენის შემთხვევაში სამოცდაათი) კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

ორსულობა და მშობიარობის გამო შვებულება გამოიანგარიშება შეჯამებულად და ქალს მიეცემა მთლიანად, მშობიარობამდე, ფაქტობრივად, გამოყენებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

ფასიანი დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ქალს უფლება აქვს, მოითხოვოს უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად, მისი სამი წლის შესრულებამდე. აღნიშნული სამი წლის განმავლობაში დედას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი (თანამდებობა) და ეს პერიოდი ეთვლება როგორც უწყვეტ, ისე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში. თუმცა, შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლში აღნიშნულია ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე დედისათვის ნაწილობრივ ფასიანი შვებულების მიცემის შესახებ, მაგრამ ამ საკითხზე რაიმე კანონქვემდებარე აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა დახმარების ოდენობა და დაფინანსების წყარო, დღემდე მიღებული არ არის, რის გამოც სამწუხაროდ, მოკლებული ვართ კანონიერ შესაძლებლობას, დადებითად გადავწყვიტოთ აღნიშნულ საკითხეზე რედაქციაში განცხადებით შემოსულ მრავალრიცხოვან დედათა საკითხი.

რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა დედის ნაცვლად ბავშვს მოუაროს ბებიამ, განვმარტავთ, რომ კანონის თანახმად, ფასიანი დეკრეტული შვებულებით ყველა შემთხვევაში უნდა ისარგებლოს ბავშვის დედამ, ხოლო უხელფასო შვებულება დედის ნაცვლად, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ შეუძლია გამოიყენოს მომუშავე ბებიამ, პაპამ, მამამ ან სხვა ნათესავმა, რომლებიც ფაქტიურად, განახორციელებენ ბავშვის მოვლას და როგორც ბავშვის დედას (თუ იგი მოუვლიდა ბავშვს), მათაც ეს პერიოდი ჩაეთვლებათ საერთო და უწყვეტ შრომის სტაჟში.

ამისათვის აუცილებელია იმ პირის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციისათვის მიმართვა, რომელიც ფაქტიურად მოუვლის ბავშვს და ბავშვის დედის სამუშაო ადგილიდან სათანადო საბუთის წარდგენა, რომ იგი ბავშვის მოსავლელად შვებულებით არ სარგებლობს.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

## ცოტაც გავიცინოთ...

— **იქნებ** ჩემს ბიჭს ვიოლინოზე დაკვრა ასწავლოთ, — თხოვს მიხო პროფესორს.

— სმენა აქვს?

— აბა, რა ვიცი, ისე კი როცა ვეძახი, მუდამ მ პ ა ს უ ხ ო ბ ს ხოლმე.

* * *

— **როგორ** გრძნობს თავს თქვენი ქმარი?

— გმადლობთ. ახლახან თავის ქალის სურათი გადაუღეს და შიგ ვერაფერი აღმოუჩინეს.

* * *

— **როდის** დამიბრუნებთ, ბოლოს და ბოლოს, ვალს?

— როგორც კი ბიძაჩემი ჩამოვა ამერიკიდან.

— ამ ისტორიას უკვე მთელი წელიწადია მიყვებით. არ მჯერა ბიძათქვენის არსებობისა!

— როგორ თუ არ გჯერათ? შემიძლია მის მიერ გამოგზავნილი წერილიც გაჩვენოთ.

— ჰო? მაინც რას გწერთ?

— გზის ფული გამომიგზავნეო.



* * *

**ორი** იაპონელი, სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ლიფტში ერთად მოხვდნენ.

— ეს რუსები როგორ ტყუპებივით გვანან ერთმანეთს, — ეუბნება ერთი იაპონელი მეორეს.

* * *

**სინოპტიკოსი** მდივან გოგოს ამინდის პროგნოზს უკარნახებს:

— კვირას მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, მცირე წვიმა, ტემპერატურა...

— ოი, რა ცუდია, კვირას პარკში ვაპირებდი გასეირნებას.

— კარგი, მაშინ წვიმა ამოშალეთ.

* * *

**ხდება** ხოლმე, შეფს უყურებ და ფიქრობ, როგორ შეაფურთხო სახეში ისე, რომ არ ეწყინოს...

* * *

**გუშინ** რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს შენობის წინ გაიხსნა „უცნობი დეპუტატის“ ძეგლი. ძეგლზე ამოკვეთილია წარწერა: შენი სახელი უცნობია, შენ ქრთამს არ იღებდი.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

## ლარის კურსი

**10 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1939 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8000 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1695 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0630 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3915 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3982 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5658 ლარი. |

## სხარტულა

### დღეს და ყოველდღე

ზოგიერთი მონაწილე
გააცეცხლა,
ზოგსაც კიდევ გადაჭკიდა
მეგობარი.
მართლა, ვაი იმისთანა გადაცემის
მომზადებას და გაშვებას
ეგ რო არი!
...თუ გსურთ, ნახოთ ბალაგანი
სანაქებო —
არ გამოგრჩეთ ამ საღამოს
„ჯეობარი!..“

**თამაზ ილმელი**



## VIP-პერსონა

# მოიტათ ჩემი წილი ბედნიერება!

**ბაქოში ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი გააოცა აზერბაიჯანის სიმდიდრემ, განსაკუთრებით ნავთობის რესურსების სიუხვემ.** მან აღნიშნა, რომ ასეთ მადლიან მიწაზე მცხოვრებ ხალხს ბედნიერი მომავალი უნდა ჰქონდეს. „მაგრამ, სიმდიდრე სხვებსაც უნდა ვუწილადოთ“, — ღრმააზროვნად დასძინა ქალბატონმა ოლბრაიტმა. ჯერჯერობით გაურკვეველია მხოლოდ ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს — ნებაყოფლობით, თუ — იძულებით. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ქალბატონ ოლბრაიტის ხასიათს, მეორე ვარიანტი უფრო მეტად სავარაუდოა...



## რა ხდება?

# ბუნბეში სკოლეში

**ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე №52 საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი ლალი ბერძენიშვილი სკოლის ამჟამინდელი დირექტორის გიორგი სამხარაძის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოითხოვს. ლალი ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ მას გიორგი სამხარაძემ მასმედიის საშუალებით ცილი დასწამა, როცა სკოლაში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ ცრუ ანონიმური სატელეფონო ზარების შესაძლო ავტორად მიიჩნია.** ბერძენიშვილის თქმით, სამხარაძემ მისი გათავისუფლების საფუძვლად სკოლაში არსებული ფინანსური დარღვევები დაასახელა, თითქოს მოსწავლეთა მშობლებისგან წლების განმავლობაში თანხები უკანონოდ იკრიბებოდა და არამიზნობრივად იხარჯებოდა. ლალი ბერძენიშვილი აღნიშნულ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ მას ამგვარი უკანონობის უფლებას არავინ მისცემდ, ხოლო მისი თანამდებობიდან გათავისუფლების რეალურ საფუძვლად „არაკომპეტენტურობა და დაუმორჩილებლობა“ დასახელდა. ბერძენიშვილი განათლების სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას უკანონოს უწოდებს, რადგან, მისი თქმით, განათლების სამინისტროს გენინსპექციის დასკვნა მისი გათავისუფლებიდან 20 დღის შემდეგ დაიწერა. ბერძენიშვილი ამჟამად თანამდებობაზე აღდგენას სასამართლოს გზით ცდილობს. “სამხარაძეს თანამდებობის დაკარგვის შიში აქვს, რადგან დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხს ამჟამად სასამართლო განიხილავს და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს ხანში ჩემსავე დაარსებულ საავტორო სკოლაში, რომელსაც ადრე „ბალავარი“ ერქვა, პოსტზე აღმადგინონ. ამიტომ ამჟამინდელი ხელმძღვანელი ჩემს დისკრედიტაციას შავი პიარით ცდილობს,“-განაცხადა ბერძენიშვილმა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ №52 სკოლის დირექტორმა გიორგი სამხარაძემ განუცხადა, მას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სკოლაში ნაღმის არსებობის შესახებ ანონიმური ზარის შესაძლო ავტორად ყოფილი დირექტორი არ დაუსახელებია და მისთვის ამ დრომდე უცნობია, ვინ შეიძლება ყოფილიყო ზარის ავტორი. რაც შეეხება ყოფილი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებას, სამხარაძე აცხადებს, რომ აღნიშნულის საფუძველს მას განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გაკეთებული დასკვნა აძლევს, რომლის თანახმადაც, ბერძენიშვილის გათავისუფლების საფუძველი სკოლაში არსებული ფინანსური დარღვევები გახდა.

**8 ნოემბერს დილიდან განგაში გამოცხადდა №52 საშუალო სკოლაში. დილის ცხრის ნახევარზე უცნობმა პირმა სკოლის ადმინისტრაციას ტელეფონით შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა.**

**სკოლის დირექციამ სასწრაფოდ შეწყვიტა სასწავლო პროცესი. ადგილზე მივიდნენ გამნაღმველები, რომლებმაც შენობის შემოწმების შემდეგ, იქ ნაღმი ვერ აღმოაჩინეს.**

**ინტერპრესნიუსი**

## ხსოვნა



### გერასიმე დალაქიშვილი

85 წლისა გარდაიცვალა გერასიმე ალექსანდრეს ძე დალაქიშვილი — ასურეთელი კაცი, სამამულო ომის ვეტერანი, II ჯგუფის ინვალიდი, რომელმაც დიდი ცხოვრების გზა განვლო. არც გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ მამაცური ბრძოლები დაჰკლებია, არც იმ ქარცეცხლიდან წამოყოლილი ჭრილობები და არც მთავრობის ჯილდოები, მშვიდობიანობის დროს კი მშობლიურ ასურეთში შრომობდა, იყო სოფლის სკოლის დირექტორის მოადგილე, ახალგაზრდების აღმზრდელი, შეჰხაროდა შესანიშნავ ოჯახს — შვილებს, შვილიშვილებს...

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას!

**ახლობლები.**

ლელა, დათო, გიორგი ჭანტურიშვილები, თამაზ იმედაძე თანაუგრძნობენ ლალი ჭანტურიშვილს მეუღლის
ჯემალ რატიანის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



გარდაბნის რაიონის დიდი ლილოს საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და X კლასის მოსწავლეები იუწყებიან თანაკლასელის ბექა (გიორგი) თიგიშვილის დედის
ლია ავთანდილის ასულ ტაბუცაძე-თიგიშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ბიძაშვილები ცისანა, დემურ, ფრიდონ, მზია, სოსო, დავით ინჯიები იუწყებიან მამიდაშვილის
ეკატერინე გვაზავა-დათუკიშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები ფოტოკორესპონდენტ თედო ნიკოლაიშვილს თანაუგრძნობენ სიმამრის
გერასიმე დალაქიშვილის
გარდაცვალების გამო.

ლევან და დალი მიროტაძეები სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს ომარ ლეკვეიშვილს დედის
გალინა რუხაძე-ლეკვეიშვილის
გარდაცვალების გამო.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ციალა ხუნდაძის ძმა
ლევან ხუნდაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ყურადღება!

### ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“-ის (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს

ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“-ის (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალს), 2005 წლის მე-5 ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ბიბლიოთეკას. ამ ნომრებში გამოქვეყნებულია ქართველი ავტორების ნინო ჩიქოვანისა და ვლადიმერ ღლონტის სტატიები.

ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ აგრეთვე კვალიფიციურ ავტორებს.

მომავალი წლიდან ჟურნალი ხელმოწერით გავრცელდება.

ტელ: 899 53 76 16.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.